# დროება

ყოველდღიური-საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 77 ოთხშაბათი, 7 აპრილი 1910 წ. № 77

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" [illegible]ციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების [illegible]ა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-[illegible] 7 მდე.

ხელ[illegible]უწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული და კნიაჟნა ქეთევან ივანეს ასული რუსიშვილები ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 3 აპრილს ტრაგიკულად გარდაიცვალა ძვირფასი ძმა

თავ. ერისთავი

დაკრძალვა სოფ. ფლავში (გორის მაზრა) ოთხშაბათს, 7 აპრილს.



## ქართული თეატრი

პარასკევს, ამა აპრილის 9-სა,

წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

—გაიმართება—

### ლიტერატურული გასამართლება

„ღალატის" გმირებისა ზეინაბის და ოთარ-ბეგისა
(ზეინაბი ქ. ს. რომანიშვილისა, ოთარ-ბეგი—ვ. გუნია).

ბრალმდებლები არიან: ბ-ნნი იოს. მაჭავარიანი და ვახ. ღამბაშიძე.
დამცველები: ბ-ნნი კ. აბაშიძე და გრ. რობაქიძე.
მოსამართლენი: ბ-ნნი იოს. ბარათაშვილი, გრ. დიასამიძე და ივ. ზურაბიშვილი.
ნაფიცი მსაჯულები: ბ-ნნი ივ. გომართელი, ილ. ზურაბიშვილი, დ. კარიჭაშვილი, გ. ლასხიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. მგალობლიშვილი, ალ. ყანჩელი, ალ. ყიფშიძე, გრ. ყიფშიძე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
(4—2)



## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 8 აპრილს, 1910 წელს.

ქართულ თეატრის კაპელდინერების სასარგებლოდ

ნ. გაბუნია-ცაგარლის, ვ. აბაშიძის და სხვების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### ალლუმი

მხიარული კომედია 4 მოქმედ. ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.

მონაწილეობენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, მ. ვიქტორელი, ნ. გამყრელიძისა, ვ. ნებიერიძისა, ბ. ასათიანი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ვ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ა. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი, შ. საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.
(2—1) რეჟისორი ვალ. გუნია.



დაიბეჭდა და აპრილის 10-ს დარიგდება „ფასკუნჯის" პირველი ნომერი შემდეგის შინაარსით:

1. «სიმღერა», განდეგილისა. 2. „ზღაპარი", კ. მაყაშ—სა. 3. «ლანდები», პოემა ა. შანშიაშვილისა. 4. „საბედისწერო დამბაჩა", დრამა ტ. რამიშვილისა. 5. «კურუიანი», ინდ. პოემა, თარგ. ა. სარაჯიშვილისა. 6. „გ. სუნდუკიანცს", აკაკისა. 7. „ნაწყვეტები", ეკ. გაბაშვილისა. 8. „დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის მგოსნები", ნ. მარრისა, თარ. გრ. ყიფშიძისა. 9. „თარის ხმა" (ლექციიდან), გრ. რობაქიძისა. 10. «გ. წერეთელი», კ. აბაშიძისა. 11. «რა არის ტრაგედია», კალამისა. 12. «მომავალის ცეკვა», აის. დუნკანისა, თარ. ა. ფაღავასი. 13. განცხადება, აკაკისა. 14. სურათის ახსნა.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1. თინათინის დაგვირგვინება, ათ ფერად დაბეჭდილი სურათი მე-17 ს. ხელნაწერი ვეფხ ტყაოსნიდან. 2. მწუხარება, ქანდაკება ი. ნიკოლაძისა, ფოტოტიპიური სურათი. 3. ეკ. გაბაშვილის პორტრეტი, ფოტოტიპიური სურათი. 4. მეორმოცე წლების მოღვაწენი. 5. რაფაელის პორტრეტი. 6. ღვთისმშობელი, რაფაელის სურათი. 7. ბავშვი, მისივე სურათი. 8—10. ინგლისელი არტისტი ირვინგი ჰამლეტის, შეილოქის და რიშელიეს როლებში. 11 მუსიკა და ცეკვა.

ფასი პირველი N-სა 75 კაპ.

ჟურნალი წლით ღირს 5 მან. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზია, ან სტამბა სორაპანი.
პირველი N-ი იყიდება ყველგან. რედ. გამომც. ს. ფირცხალავა. (3—3)



## მაღაზია

### ო დერნიე პრი

სასახლის ქუჩა № 6.

სხვა მაღაზიაში გადასვლამდე მიიღო დიდ-ძალი შლიაპები ქლებისა და ბავშვებისა და დანარჩენი სხვა საქონელი. ტანისამოსი ტიულისა, ბატისტისა, მანტო, ტიულის ჩულქები და სხვა იყიდება ნახევარ ფასად.

(2—ხალ.—2) ბ. ს. ჯიშკარიანი.



## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

მით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—45)



ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი

## მ. ა. ბაქრაძე

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(6—1) ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- დ. [illegible] ხას. 1—2 ს.
დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.
ფირბდოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე
პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
სხოთლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—150)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—313)



ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—42)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—406)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი
იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუხუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) ხატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—13)

ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—16

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—41

ექიმი შ. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—66)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—100

ექიმი ქუთაისში ფ. ი. ზასნევსკი
იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—24)

ექიმი ვ. ღამბაშიძე
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი დ. ახვლედიანი
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.



## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საჯარო ვაჭრობა მიწის და წყლის მილის სამუშაოებზე და აგრეთვე მილების მისატანად რკინის გზის სადგურიდან სამუშაოს ადგილას დანიშნულია ამა აპრილის 22-სთვის, შუადღის 12 საათზე.

ბედ საჭიროა 500 მანეთი.

პირობების გასინჯვა შეიძლება წყლის მილის განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დან 3 საათამდე. (3—ნ—1)



## ივ. გრ. ხალათიანი

იღებს ყოველგვარ. განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ „დროება"-ს კანტორაში: დიდი ვანქის ქ., № 12. (0—8)



სახალხო უნივერსიტეტი

11 აპრილს სახაზინო თეატრში არის

ლექცია

ექიმ

### გ. ვ. სოზოლევსკისა

„მოგზაურობა • შუა-გულ აფრი- • კაში. კონგო"

ფასი ადგილებისა დაკლებულია. ბილეთები იყიდება სამეურნეო საზოგადოების შენობაში (ბარიათინსკის ქ. № 5), და სახაზინო თეატრის კასაში (გოლოვინის პროსპექტი). (4—ნ.—4)



ქუთაისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს, რომ მდგომარე 1910 წლის 28 აპრილს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეჯიბრება იმ პირთა, რომელთაც სურთ იკისრონ ქალაქის გეგმის (პლანის) შედგენა. პირობების გაცნობა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდი, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (5—ნ.—3)



ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—155)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)



## კავკავის განყოფილება

ქ.-შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ მომავალ აგვისტოს თვიდან კავკავის ქართულ სკოლაში თავისუფლდება მასწავლებლის ადგილი.

ჯამაგირის რაოდენობა გადასწყდება აგვისტოს დამდეგში. თხოვნები და საჭირო საბუთები უნდა გამოიგზავნოს კავკავში წ.-კ. გ. ს. განყოფილების გამგეობის სახელზე, ქართულ სკოლაში. (3—2)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**სხვა და სხვა კანონ-პროექტი.**

5 აპრილის სხდომაზე სახ. სათათბირომ განაგრძო განხილვა კანონ-პროექტისა საიჯარო ადგილებზე შენობების აგების შესახებ. სათათბირომ განიხილა რამდენიმე მუხლი და დაადგინა, კანონ-პროექტის მეორე ნაწილი გადასცეს კომისიას კამათის დროს შეტანილ შესწორებათა განსახილველად.

მერე სათათბირომ მიიღო პროექტი დამატებით 30,000 მანეთის გადადების შესახებ საზღვაო უწყების ხელოსანთა პენსიებისთვის.

წაიკითხეს საკანონმდებლო წინადადება 32 დეპუტატისა სამხედრო-საზღვაო ბეგარის დაწესების შესახებ. მთავრობის წარმომადგენელი სიხარულით მიეგება ამ წინადადებას და სთქვა, მთავრობამ უკვე შეიმუშავა შესაფერი კანონ-პროექტიო.

შემდეგ სათათბირომ უკამათოდ მიიღო რამდენიმე წვრილი კანონ-პროექტი და სასურველად სცნო 35 დეპუტატის წინადადება ახალ კანონის გამოცემის შესახებ. იგი შეეხება პრივილეგიების გაცემას საზღვაო და სამხედრო გამოგონებისთვის. მთავრობამ თანხმობა განაცხადა შეიმუშაოს შესაფერი კანონ-პროექტი.

დასასრულ, უკამათოდ მიიღეს ორიოდე წვრილი კანონ-პროექტი კიდევ.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 აპრილი.

**საზღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ჩანშიდან ატყობინებენ: ბრბომ გადასწვა უცხოელების ყველა სადგომები. გადარჩა მხოლოდ ინგლისის საკონსულოს შენობა. ჯარი საქმეში არ ერევა. ყველა მისიონერებს წინადადება მიეცათ მიატოვონ პროვინციები, რადგან მოხელეებს ეშინიანთ საერთო არეულობა არ მოხდეს. მოხელეები უარს ამბობენ უცხოელების დაცვაზე. ვიცე-კოროლმა გაგზავნა 2000 სალდათი. ხმა დადის, გუბერნატორი მოჰკლეს. ზოგიერთების სიტყვით გუბერნატორი იმალება.

**ჩანშა.** მეამბოხეებმა მოჰკლეს გუბერნატორი და მისი შვილი. გუბერნატორის სახლი სულ ერთიანად გაანადგურეს და დასწვეს. ღამე ინგლისის კანონერკა სხვა გემს დაეჯახა. ხმა დადის, დაჯახების დროს კანონერკაზედ მოკვდა სამი გერმანელი მისიონერიო. კანონერკა ჩანშაში მოდიოდა. ჩანშში სულ რვა გერმანელი მისიონერი იყო და, როგორც ამბობენ, ყველანი გადარჩენილან.

**ფერიზოვიჩი.** 8 ბატალიონით ჩამოვიდა ექსპედიციის უფროსი შევკეთ-ტურგუტ-ფაშა. ჩამოსულ ჯარის ნაწილი გაიგზავნა პრიზრენში, ნაწილი იპეკში. ჯარი ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა ინახულა შევკეთ-ტურგუტ-პაშა. ექსპედიციის უფროსის სიტყვით, ექსპედიციის დანიშნულებაა იარაღი აჰყაროს ალბანელებს, აღადგინოს მთავრობის პრესტიჟი და ხელი შეუწყოს კონსტიტუციონურ რეფორმების განხორციელებას. ალბანელები მშვენივრად არიან შეიარაღებულნი, ამიტომ, ტურგუტ ფაშას აზრით, მთავრობისგან გამოგზავნილი ჯარი ცოტაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ექსპედიციის უფროსს მაინც სწამს, რომ ჯარი შესძლებს თავის დანიშნულების განხორციელებას. ალბანელები დიდ მზადებაში არიან. ყველა თემები შეერთდნენ და ერთად იმოქმედებენ. სულ ამ ჟამად შეიარაღებულ ალბანელთა რიცხვი 40,000 კაცს უდრის. მათ განზრახვა აქვთ დაიჭირონ კაჩანის გასავალი, დაანგრიონ რკინის გზა, გარს შემოერტყან ჯარს და შემდეგ ქალაქებს დაეცნენ. ჯარის და ალბანელების შეტაკებაზე ჯერ არაფერი ისმის. მხოლოდ იპეკის მიდამოებში მოქმედებს ყაჩაღთა ბრბო. ყველანი საომრად ემზადებიან.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ჩანშიდან ატყობინებენ: მშვიდობიანობა დამყარდა. მართვა-გამგეობას შეუდგა პროვინციის ხაზინის გამგეო.

**კოპენჰაგენი.** 6 მაისს დაითხოვენ ფოლკეტინგს. არჩევნები დანიშნულია 7 მაისისათვის.

**პეკინი.** რადგანაც ჩინეთის მთავრობა თანახმაა, რომ ხუბეისუნანის პროვინციამ ფული შეაგროვოს და იკისროს ხანკოუ-სიჩუანის რკინის გზის გაყვანა, ამიტომ სიჩუანის პროვინციის მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს დეპუტაცია გაგზავნონ პეკინში და მთავრობას სთხოვონ, ნება დართოს შეაგროვონ ფული და გაიყვანონ ხანკოუ-სიჩუანის რკინის გზა. სიჩუანის პროვინციას აზრად აქვს ხელი შეუშალოს უცხოელებს, რომ მათ არ გაიყვანონ ეს რკინის გზა. ხანკოუ-სიჩუანის რკინის გზის გაყვანაში დაინტერესებულმა 4 სახელმწიფომ ჩინეთის მთავრობას პროტესტი განუცხადეს. ჯერ-ჯერობით ჩინეთის მთავრობას პასუხი არ მიუცია.

4 სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა: ინგლისელებს უნდა ასაშენებლად აიღოს ჩენდუფუს ახლო მდებარე ნაწილი, იქნებ იმიტომ რომ ტიბეტზედ გავლენა იქონიონ, ფრანგებსაც ესევე ნაწილი უნდათ; ამერიკელ კაპიტალისტებს შორისაც უთანხმოებაა.

### სპარსეთი

**ისპაჰანი.** ისპაჰანის ახლო ყაჩაღები თავს დაეცნენ ინგლისის კონსულის ქარავანს. მოკლულია კონსულის რაზმის ორი ჯარისკაცი. ინგლისის კონსული ისპაჰანში ქარავნის მისაგებებლად წავიდა.

### ჰაერში ფრენა

**ნიცცა.** გაფრინდა ავიატორი ეფიმოვი. ეფიმოვმა იფრინა 72 წუთი და აიღო სამი პრიზი.

### რუსეთი

**სევასტოპოლი.** ქარიშხალის გამო დაიღუპა სთევზაო გემი. დაიხრჩო სამი, გადაარჩინეს ერთი მეთევზე.

**ვარშავა.** ოლქის საინტენდანტოდან დაითხოვეს რამდენიმე დიდი მოხელე. მიზეზი ის არის, რომ სენატორმა ნეიდგარტმა საქმის წარმოებაში ბევრი უკანონობა აღმოაჩინა.

**ლუგა.** ღამე დაიწვა ტროსკაანას ტყის სახერხავი ქარხანა და წისქვილი. ზარალი დიდია.

**ეკატერინებურგი.** ვერხნეტაგილის დაკეტილ ქარხნის მუშების კრებამ გადასწყვიტა, იშუამდგომლონ რომ მათ იჯარით მიეცეთ ქარხნის აგარაკი, სულ 33,000 დესეტინა. მუშებს აზრად აქვთ სამთამადნო არტელი შეადგინონ.

**დონის-როსტოვი.** ფოსტის ახლო აფეთქება მოხდა. დაზიანდა რამდენიმე სახლი. დამნაშავე დაიმალა. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ უცნობს შური უძიებია.

**ვარშავა.** ვარშავის ოლქის სხვა და სხვა ადგილებიდან სენატორის რევიზიის კომისიები იუწყებიან, რომ საინტენდანტოს მაღაზიების უმრავლესობა რიგიანად არის დაყენებული. ასეთივე მდგომარეობაშია ვარშავის მაღაზიები.

**სარატოვი.** დაბა კიშენკას ახლო რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცა მგზავრებს. მოჰკლეს ორი, ხანჯლით დასჭრეს ერთი კაცი.

# ჭრელი შენიშვნები

**აფხაზეთისა და აფხაზთა შესახებ.**

**IX.**

**კიდევ პარნაუთლები.**

მტყუანს საყვლავის
კარამდე ჩაჰყევიო.
**ქართული ანდაზა.**

ბედკრულ პარნაუთელთა ამბის გაზეთის ფურცლებზე გადმოტანა ბედმა პირველად მე მარგუნა. ეხლაც ცოტა რამ მინდა მივაწოდო ჩვენს დეპუტატებს. როგორც თ. ნ. თავდგირიძემაც აღნიშნა პარნაუთის დაჩას გარშემო არტყია შემდეგი ახალშენები:

1. მეგრელთა ახალშენი ფშაფი—57 კომლია. ამ სოფლელებს მიზომილი აქვთ 489 დესეტინა სახნავ-სათესი, ტყე და საბალახო. დასახლების დროს თითო მოსახლეს მიეზომა ათ-ათი დესეტინა, ხოლო ეგრეთ წოდებული, „земельный фондъ"-ი ახლად გამოყოფილ მოსახლეთათვის არ იყო მიზომილი. სოფელი აშენდა 1883 წელს იმ მეგრელთაგან, რომელნიც ჯერ ისევ მთავრის მიხეილის გადაყენებამდის გადმოსახლებულიყვნენ აფხაზეთ-სამურზაყანოში და ამიტომ საბუთებში, ვგონებ, აფხაზებად არიან მონათლულნი. ფშაფელნი არავითარ პრეტენზიას არ აცხადებენ პარნაუთის დაჩაზე, და არც არავინ მისცემს მათ ამ დაჩას.

2. ფშაფს საზღვრავს ყოვლის ფრით შემკული (გარდა ჰავისა) ახალ-შენი დრანდა (წყაბა, წ-ყ-ბნ): საუცხოვო ადგილმდებარეობა აქვს, სახნავ-სათესი ჩინებული. სოფელი გაშენდა 1879 წელს რუსთა, მოლდავანთა და ბოლგართაგან. 72 მოსახლეა და აქვთ მიზომილი 640 დესეტინა მიწა, რომლის უმეტესი წილი საიჯაროთაა გაცემული მეგრელებსა და აფხაზებზე.

3. შემდეგი სოფელი ესტონოვკაა (ესტონსკოე). ამ ჟამად მცხოვრებთა და მიწის (ნადელის) რაოდენობა ხელთა არ მაქვს ხოლო მათ შესახებ რომ თავს არავინ იტკივებს, სჩანს იქიდან, რომ ხუთი-ექვსი წლის წინად მათ ჩამოუჭრეს 19 დესეტინა და მიუზომეს დრანდის მამათა მონასტრის „სკიტის" გარდა ამისა, ცალკე კიდევ ამავე მონასტრის „хуторъ"-ისათვის რამოდენიმე დესეტინა ჩამოუჭრეს დრანდას. მაშასადამე, არც აქეთ აკლიათ მიწა-მამული, მთავრობის აზრით მაინც. სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ეს ესტონელნი მეტის-მეტად მუშა და მუყაითი ხალხია და აკი თავიანთ საქმეებიც კარგათ მიჰყავთ.

4. მათ ზევით,-მდ. კოდორის დაყოლებაზე, არის სოფელი ვლადიმიროვკა. 106 მოსახლე რუსი და ბოლგარია. მიზომილი აქვთ 1210 დესეტინა სანაქებო მიწა. სოფელი აშენდა 1879 წელს. რომ მათ არ ესაჭიროებათ მიწა, აქედანა სჩანს, რომ ხუთიოდე წლის წინად მათ ჩამოუჭრეს ზედმეტად ცნობილი 80 დესეტინა მიწა და სხვას (მონასტერს თუ ეპისკოპოზს, არ ვიცი) მიუზომეს.

5. ს. ვლადიმიროვკას ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვრავს თავის თავგადასულით მეტად საინტერესო სოფლები „ანასტასიევსკოე" და მიხაილოვსკოე". მეგრელ-აფხაზნი ორივე ამ სოფელს უძახიან „ნაას". ეს „ანასტასიევსკოე-მიხაილოვსკოე" დასახლებულ იქმნა ჯერ ისევ 1879 წელს მოლდავან-ბოლგარ-რუსებით. მაგრამ მალარიამ საქმე ისე გაუჭირათ საცოდავ მოახალშენეთ, რომ სამიოთხი წლის შემდეგ ისინი იძულებული იქმნენ აეკრათ თავიანთ ბარგიბარხანა და ისევ თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. აი, აქ მთავრობამ ორკეცი გულკეთილობა გამოიჩინა: შეაფასა მათი ქოხმახი და უფლება მიწაზე და უმიწაწყლო მეგრელთ უთხრა: „შეისყიდეო". მეგრელებიც სიამოვნებით დასთანხმდნენ და ბოლგარ-რუსთა უფლება იყიდეს და ფასიც ნაწილ-ნაწილ გადაიხადეს. ასე და ამ რიგად ოლქის უფროსმა ვედენსკიმ მოახალშენეთაც ქონება გაუნაღდა და მეგრელთაც მიწა-წყალი უშოვნა. ეხლა „ნაა" საუცხოვო სოფელია და კეთილ დღეობით მას არც ერთი ახალშენი რუსმოლდავან-ბოლგართა არ შეედრება, თუმცა ამ უკანასკნელთა თავზე მთავრობის წყალობა პანტასავით ცვივა. რა თქმა უნდა, „ნაალებს" პარნაუთის დაჩასთან ახლო არავინ გატარებს, თუმცა მიწის სივიწროვე მათთვისაც უკვე საგრძნობელია და თან ნაკლები ღირსებისაც მათი ნადელი.

ს. ს. „ნაა"-ს ზედ აკრავს რუსთა ახალშენი ჩერნიგოვკა. ამათ უჭირთ შედარებით მაღალ-ფერდობიანი და მშრალი ადგილი, გარნა მაინც მალარია მათაც მოსვენებას არ აძლევს, მუსრს ავლებს, რის გამო ბევრი ისევ უკან მიდის, სამშობლოში; მაგრამ ამათ სანაცვლოდ ახალი მოდის და ასეთ ცვალებაშია თავის შემადგენლობით. ამათ თავიანთ ნადელებზე სომეხ-მოიჯარადრეები ჰყავთ. ჩერნიგოველები წუნია ხალხია, და სწორედ ამათ შეაძლიეს 7—8 წლის წინად პარნაუთის დაჩა, მაგრამ შორს დაიჭირეს თავი: ჩვენს დასუსტებულ ძალ-ღონეს პარნაუთის გვანცხ-ეკალს ვერ შევალევთო. მართალნიც არიან: მალარიით დასუსტებული ჩრდილოელი ველარას აწყობს მთაგორიან ადგილებში და თავისს წუთი-სოფელს უხალისოდ მიაჩანჩალებს. ეხლა-კი შეიძლება უარი არა სთქვან, დასთანახმდნენ და მეგრელთა ბაღ-ბაღჩავენახები ჩაიბარონ...

7. სოფელი მესხეული ძევს მდ. მაჰარის ხეობაში და ჩრდილ-დასავლეთით უძევს პარნაუთის დაჩას. ეს სოფელი გაშენდა 1879 წელს მეგრელთა და აფხაზთაგან. 43 მოსახლეა და მიზომილი აქვთ 470 დესეტინა მიწა. აქ მეგრელთ მიეზომათ ათი დესეტინა მიწა თითო თითო მოსახლეს, ხოლო აფხაზთ ხუთ-ხუთი. არც ამათზე ფიქრობს და თავს იტკივებს ვინმე.

**ამ რიგად, ეს ადგილები** (პარნაუთის დაჩა და სხვანი) **უნდათ ახალ გადმოსახლებულთათვის და მათ უკეთავენ გზა კვალს.**

დავეთანხმოდ ადგილობრივ ბიუროკრატიას, რომ მეგრელები კერძოდ და ქართველები საზოგადოდ საშიში ხალხია. რა დაუშავეს აფხაზებმა? ამათ ხომ სულ-ახლო წარსულში მიიღეს სიმტკიცის მოწმობა და საჯაროთ მიულოცეს „виновное населеніе" სახელის მოხსნა და ერთგულთა სიაშიაც ჩასწერეს? რატომ ამათ მაინც არ აძლევენ ამ დაჩას? აფხაზთ ხომ ყველაზე უფრო მეტი უფლება აქვთ ამ ადგილებზე, რადგან აქ მარხიან მათი მშობლები და აქ გაუხელიათ პირველად თვალი. თითეული ტკაველი ამ ამ ადგილებისა მათის წინაპართა სისხლითაა მორწყული და ძვლებით გაპოხიერებული ასიოდე მოსახლე აფხაზი გვიან დაბრუნდა სათათრეთიდან და რადგან მთავრობამ ბინა არ მიუზომა, ისინი დასახლდნენ სოფელ გუმისაში კერძო მემამულეთა ნადელებზე, და ყოველ დღე ევედრებიან მთავრობას, მოიღეთ მოწყალება და მოგვეცით თითო ნატეხი მიწაო. ისინი, სხვათა შორის, ამ დაჩასაც სთხოვდნენ. მაგრამ შრომამ ფუჭად ჩაუარათ. ამ რიგად, დღესაც აფხაზი მკვიდრი უადგილოდაა დატოვებული. აფხაზებს ერთი მტკაველი საკუთარი ადგილი აღარა აქვთ, და ამ დროს ცხრა მთის იქითელს ეძლევა „ტუზემცების" მიერ მამულად ქცეული ნაოფლარები. მერე რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ მისი (რუსის) უძლური ძვლები სამშობლოს მოაშოროს და აფხაზეთის ჭაობებში საუკუნო ბინა გაუჩინოს. რომ ეს საცოდავნი ბიუროკრატიის საცოდავნი მსხვერპლნი არიან, ამას მტკიცება არა სჭირდება. მაგრამ მე საილიუსტრაციოდ ორიოდე ფაქტს მაინც მოვიყვან.

ზევით მოვიხსენიე, რომ ორი სოფლის (Анастасіевское и Николаевское) მცხოვრებნი იძულებულნი იყვნენ ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ. ან როგორ არ უნდა გაქცეულიყვნენ, როცა ციებ-ცხელების გამო ბუზებივით იხოცებოდნენ. დღესაც იგივე სურათია. 1898 წელს გუდაუთის ნაწილის უფროსს ჩიქოვანს შეატყობინეს—ბომბორელები" გადირივნენ, съ ума сошли-ო. მეც თან წავყევი და საზარელი სურათი წარმოგვიდგა: სამი ქალი და რამდენიმე ახალგაზრდა დასაბამად გამხდარიყვნენ. მათი მდგომარეობა ქვასაც გამოსტყუებდა ცხარე ცრემლს! და **ამისი მიზეზა აღმოჩნდა მალარია.** იმ ხანებში სოხუმში არსებობდა ეგრედ წოდებული „переселенческая комиссія". ამ კომისიის სულის ჩამდგმელს ექიმ ბ—ს გადავეცი ბომბორელთა უნუგეშო მდგომარეობა. აი მისი პასუხი: მე ურჩიე მთავრობას, აპრილიდან შუა ენკენისთვემდე ან ადგილობრივ მთებში გაგზავნოს „კოლონისტები" საჰაეროდ, ანადა რაჭა-ლეჩხუმშიო, მაგრამ არ დამიჯერესო", და სხვა. აი კიდევ რას ამბობს რუსი ექიმი*)... „რუსთა სოფელ ბაკლანოვკაში (აალში) 100 მცხოვრებზე იბადება 5 პროც., ხოლო კვდება 15,6 პროც., გერმანელთა სოფელში ლინდაუში იბ. 3,7 პროც.; კვდება 7,6 პროც., ესტონოვკაში იბად. 2,9 პროც., კვდება 7,0 პროც. ორთა შუა რიცხვით 8 წლის განმავლობაში იბადებოდა 2,9 პროც., ხოლო კვდებოდა 8,1 პროც." აი ბიუროკრატიის მზრუნველობის ნაყოფი! ზოგან, მთაგორიან ადგილებში მცხოვრებნი ნაკლებად იხოცებოდნენ და იხოცებიან, მაგრამ საუკუნოებით ბარათ ნაცხოვრებთ ძალიან ნაკლებად ეხერხებათ მთაგორიან ადგილებში ცხოვრება! ჩემ მიერ შეკრებილი მასალები პანტიუხოვისაზე უნუგეშო სურათს იძლევიან. მაგრამ ამ ჟამად ესეცა კმარა. ერთი ადგილი კიდევ პანტიუხოვის ბროშურიდან. 1840-1850 წლებში ს. ბომბორაში (Бомборы ეხლა რუსთა ახალშენია) იდგა გორნიზონი, რომელიც თითქმის სულ გაწყდა მალარიისაგან, და ვინც გადარჩა, იძულებული იყო ამ არე-მარეს მოშორებოდა. აი რა სამსხვერპლოზე ჰგზავნის ბიუროკრატია რუსის გლეხებს.

რომ პარნაუთელთა სვე-ბედი პირველი არ არის და უკანასკნელი არ იქნება, ამის საბუთად კმარა დალელ (სოფელ ტიშში მცხოვრებთ) თავგადასავალიც.*) ქართველის ამისთანა დევნას ადგილი ჰქონდა კიდევ 1904 წ. 25 მარტს, ხარება დღეს. პარნაუთელთა გვერდით 400 დესეტინა მიწა აქვთ მიზომილი სოხუმელ ეპისკოპოსთ „для поддерживанія хозяйства" იმ დროს ეპისკოპოსად იყო მეგრელთა მტერი ა—ნი. აი ამისი ბრძანებით ხარება დილას 9 მოსახლე მეგრელ მოიჯარადრეს ეწვინენ სტრაჟნიკები. გამოჰყარეს სახლებიდან და სულერთიანად აჰყარეს. იმავე დღეს სოფლელნი თავიანთ ცოლშვილით ჩავიდნენ სოხუმში (18-19 ვერსია) ფეხით და იმის უსამღვდელოესობის ფანჯრის წინ დაბანაკდნენ. ცრემლებით სთხოვდნენ, მიეცა მათთვის მისს მეუფემას აღდგომის გატარების ნება თავიანთ ქოხმოხებში, მაგრამ ამ სურათმაც ვერ მოულბო გული მოხუცს. შეიძლება იურიდული უფლებაც ჰქონდა ასე მოქცეულიყო, გარნა რაღა პასუხი უნდა გასცეს იმას, ვის მცნებასაც იგი ემსახურება: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო". ალბად ამ „მოყვარეთა შორის" გრუზინი არ ირიცხება. ჩემ მეგობარ აფხაზ ისმაილისა არ იყოს: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო".

მეტად საინტერესოა თვით პარნაუთელთა სახლ-კარისა და ბაღ-ვენახის დაწვრილებითი სია, მაგრამ ამ ჟამად დრო და მანძილი ნებას არ მაძლევს ეს ცნობაში მოვიყვანო. რაც შეეხება იმ საკითხსა, თუ როდის დასახლდნენ მეგრელები პარნაუთში, ამავე მიზეზით ვერც ამის შესახებ მოვიყვან დაწვრილებით ცნობებს: შევნიშნავ მხოლოდ, რომ ისინი სხვა და სხვა დროს დასახლდნენ. ზოგიერთი მათგანი კი თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც დასახლებულია, მაგ. გახუ მიქავა და კოსტა გოგია. ერთი კურიოზიც. ამათთან სცხოვრობს ერთი რუსი, რომელსაც ნიკო რუსს უძახიან. არც ამ უკანასკნელს მისცეს აქ ბინა, „რადგან მათთან მეგრელებთან სიკვდილი, მათთან ყოფნა ურჩევნია", ვიდრე სხვაგან.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ადგილები, აი რას მოგახსენებთ: აქ ესახლნენ აფხაზები, რომელნიც 1866 წ. მთავრობამ იძულებულ ჰყო დალელ და ნებლელ აფხაზებთან ერთად გადასახლებულიყვნენ სათათრეთში, სადაც თითქმის სულ გასწყდნენ.*) **ჰამუთ-ბეი.**

*) ობილე Докторъ И. И. Пантюховъ: „Вліяніе маларіи на колонизацію Кавказа". Тиф. 1899 г. Изд. газеты „Кавказъ". გვ. 24.

*) იხილე ჩემი წერილი «დროება», 1910 წელ., N 24.

*) ეს წერილი იხედაც გამიგრძელდა და ამიტომ ვერ მოვიყვანე ერთი რუსის წერილი, რომელიც მშვენივრად ახასიათებს იმას, თუ როგორ მოეწყნენ რუსი კოლონისტები აფხაზეთში. იხილე გაზ. „Чер. Вѣ т." 1897 წ. N 206. ან ჩემ წერილში: „მოამბე" 1897. «აფხაზეთის ახალშენები». ჰ. ბ.

# კიდევ მამულის ყიდვის შესახებ.

**წერილი სოფელ კაჭრეთიდან**
(სიღნაღის მაზრა).

თავათ ვიყავით წყალ-წაღებული და ეხლა უარესი საქმე გვემართება. ვის არ კინდა, შეაღირეს ჩვენი მამაპაპის ძვლებით სავსე კაჭრეთის ბოლოები. იქ მდებარე ადგილების მიტრანებმა კნ. თამარ მაყაშვილისამ, თავ. ნიკოლოზ ილიას ძე და ალექსანდრე დიმიტრის

---

# ბედის ვარსკვლავი

**14 *)**

გაიგო ჭაბუკმა, რომ შუქური მამის სახლში იყო. სწავლა დაემთავრებინა, სახლში დაბრუნებულიყო და აგერ ერთი წელიწადი იყო, რაც საზოგადოებაში ტრიალებდა. სასიამოვნოდ მოესმა და გულზე მალამოდ მოეცხო, როცა უთხრეს, ქალი მშრომელ ხალხს არ ერიდება, სცდილობს კიდეც დაუახლოვდეს ბედისაგან დაჩაგრულებს და რამე სარგებლობა მოუტანოსო. არ კი სჯეროდა, ზღაპრულ რამ თქმად მიაჩნდა ეს, გარნა რა ტკბილი იყო მისთვის ეს ზღაპარი, როგორ ჰრელ იმედს ჩასჩურჩულებდა იგი იმის გულს!

„შუქური და უბრალო ხალხის მეგობარი! ვერც მისი ოჯახი, ვერც აღზრდა, ვერც ნათესავები და ნაცნობები ვერ მისცემდნენ მას შემთხვევას და ნებას დაახლოვებულიყო ხალხს, გაეცნო ის, შეეყვარებინა და გული ასტკივნოდა იმის უბედურებით. სულ ტყუილი იქნება ეს! ფიქრობდა ვაჟი და იმედი უქრებოდა გულში.—მაგრამ შუქური ხომ განხორციელებული სიმშვენიერეა და სიკეთე, რა საკვირველია, რომ მის ღვთაებრივ ბუნებას თავისთავეა შეეგნო, სად იყო სიმართლე დათრგუნვილი?!. მისი გული სწორედ თავისთავად იგრძნობდა სიბრალულს დაჩაგრულთადმი და მიჰხედავდა მას! —ფიქრობდა და ულვივდებოდა გულში მიმქრალი იმედი, უცხოველდებოდა იგი და ნეტარების ალად ავარდნილი ადუღებდა მის სისხლს.

ნამდვილი კი ვერაფერი გაეგო ყმაწვილს, ვერც თვით ქალი ენახა, რადგან საზოგადო ნაცნობები არა ჰყავდათ და ვერც ერთ ოჯახში ვერ შეჰხვდებოდა ქალს. გარეთაც კი ვერსად მოჰკრა თვალი, რომ ცოტათი მაინც შეეყუჩებინა სურვილი. ან სად შეჰხვდებოდა, როცა ვაჟკაცი ვერც კი ჰბედავდა იმ უბანში გავლას, სადაც სცხოვრობდა ქალი. ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა სტანჯავდა ჭაბუკს. განა რისიმე იმედი ჰქონდა, მაგრამ უნდოდა გაერკვივნა საქმე და პირის-პირ შეჰვედროდა უბედობას.

„ვიცი, რომ დაცინვის მეტს ვერას მივიღებ, იქნება გამიწყრეს კიდეც და გამაწბილოს კადნიერებისათვის, მაგრამ გარკვეული წამება მირჩევნია გაურკვეველ ტანჯვას, ერთჯერ მირჩევნის სიკვდილი სულ-მუდამ დალონებას. წავალ მერმე, მოვშორდები აქაურობას, რაკი შევიქმნები გულმკვდარი, მხოლოდ აჩრდილებრივ ცხოვრებისათვის გამოსადეგი".

შეიძლებოდა ამ მძიმე ფიქრებს რამე უაზრო მოქმედებისადმი გამოეწვია ყმაწვილი რომ მარჯვე შემთხვევა არ მიჰშველებოდა.

წარმოდგენას ჰმართავდნენ საინტერესოს მოწვეულ განთქმულ არტისტების დახმარებით და ეს იშვიათი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო პატარა ქალაქს კიდით-კიდე. ხალხი მიაწყდა თეატრის დარბაზს. წარმოდგენის გამგე ხელებს იფშნეტავდა სიამოვნებით და მუდამ დღეჯილ სახეზე მაძღარი ღიმილი უთამაშებდა. წარჩინებულთ პირველი ადგილები დაეჭირათ და რომ პირველობა დაემტკიცებინათ, უფრო წინ იწევდნენ. ერთს უკანა კალთები გაეწივნა, სცენის კიდეს მიჰბჯენდა და ლორნიონს ავლებდა დარბაზს, სხვას ფეხი აედგა ზედ სცენაზე და ხმა მაღლა ბაასობდა: პროვინციალური ქცევა იყო დიდების დამადასტურებელი. მორთულ-მოკაზმული ქალ-ყრმა ჯერ ისევ ირეოდა. ფარდა ჩამოფარებულ სცენიდან რახი-რუხი ისმოდა.

ბესიკი იჯდა კუთხეში, შესცქეროდა მოტბორებულ ხალხს, ვერ კი ხედავდა ვერავის: მისი თვალთა ხედვა უიმედოდ უვლიდა დარბაზს გარშემო და წამის წამ დარბაზის კარს აჩერდებოდა: შუქურს ელოდა. შუქური კი არა სჩანდა. შუქურის მამა პირველ სავარძელში გაბრწყინვალებულიყო, შუქური კი არსად იყო. ცარიელი იყო ბესიკისთვის მთელი დარბაზი, არავინ არ იყო იმისთვის იქ, მხოლოდ იმის დალონებულ ფიქრებით იყო იგი დარბაზი სავსე. აისმა ზარის წკრიალი. ჩამწკრივებული ხალხი მიაჩერდა სცენას. დაიძრა და აფრიალდა ფარდა, შუქური კი არსად იყო. დასწყდა იმედის ძაფები ჭაბუკის გულს. ვაჟის თვალებმა დაჰკარგეს გამომეტყველება, გაქვავდა მისი ტვინი, შესდგა მასში ჰაზრთა დენა; ციგმა არარაობამ გამოჰხედა ჭაბუკს სივრციდან. მაგრამ უეცრად იგრძნო სითბო და სინათლე, მაცოცხლებელი სხივი მოადგა იმის გაყინულს სულს და გაათბო, გაანათა. იგრძნო ეს უცნაური ძალა და მიიხედა უკან. თავისი სიცოცხლე დაინახა უცხოდ გადაფურჩქნილი. მოდიოდა ქალი თეთრებით მოსილი, უმტვერო შაქრისაგან ნაქანდაკევ ყელზე მარგალიტი ეხვია სამპირად. მკერდი ხაოთი რამ ქსოვილითა ჰქონდა დაფარული და მაცთუნებლად გამოსჩანდა სპეტაკი. რამდენიმე ახალგაზრდა მოსდევდა უკან, ზოგნი სამხედრო ტანისამოსში. სუნნელოვანის სიხარულით აივსო ბესიკისათვის დარბაზი, გარნა სიამეს სიმძიმილი დაერთო: ქალის მოარშიყე ყმაწვილკაცობის შედარებით მჩვრად დასახა თვისი თავი, უმნიშვნელოდ, პატარა რამ სულდგმულად, უჩინარად. გამოუცდელი იყო ახალგაზრდა, თვისი ყადრი არ იცოდა. აბა საწყალ დარიკოსთვის ეკითხა, რომელმაც წელან სიყვარულით გამოადევნა თვალი ჭაბუკს და მაშინ გაიგებდა, როგორი თვალსაჩინო იყო ის და ძვირფასი. წელან, როცა ბესიკი თეატრში წამოვიდა, დარიკო ალაყაფის კარებში იდგა და თავი დაუკრა ახალგაზრდას.

„ნეტა იმ ქალს, რომელიც შენს მკერდს მიაყრდნობს თავს და დაისვენებსო", — შეჰნატრა გულმკვდარმა.

მაგრამ ბესიკი ვერა ჰხედავდა საწყალ გოგონას, ის აღარა ჩანდა შუქურის სხივებში. როცა მზე ბრწყინვალებს ცაზე, პაწაწინა ვარსკვლავს ვიღა ამჩნევს იქ?!

**15**

შეჰყურებდა ბესიკი შუქურს, იმ ძვირფას, რომელმაც ბალღობიდანვე გარკვეული მიზანი დაუსახა თვისა და შეუგნებლად, სული ჩაუდგა იმის შრომას, რომელიც დღევანდლამდის აჰელმძღვანელებდა და რომელსაც დღეს თვისსავე შეუგნებლად შეეძლო მოესპო მისთვის ყოველგვარ მოქმედების სახსარი. არ იცოდა ქალმა, რა სიკეთე დაეთესნა თავის შეუგნებლად, არ იცოდა, რომ შეეძლო მოესთვლა უწყალოდ იგი მდელო, რომელიც აალორძინა თითონვე და გადაფურჩქნა. რა იცის ან კარა ნაკადმა თავის ცელქ სრბოლაში რომელ მარცვალს გაადიებს ხოლო ღივს გარდაჰქმნის დამამშვენებელ მცენარედ?! ან რა იცის მან, უკვე დიდებულ მდინარედ გარდაქმნილმა, ვის მოაშთობს თვის ძლიერ ტალღებში ან რომელ ჭანდარს მოჰგლეჯს აღელვებული და ჩაჰლეწავს თავის სიღრმეში?! რა იცოდა შუქურმა, რომ მისგან ცხოვრებად მოწოდებული ბესიკი მისგანვე შეიძლებოდა მოსპობილიყო საწყალობლად.

„არ იცის ქალმა და ვერც მიჰხვდება, როგორ ათბობს და ანათებს ჩემს არსებას; ვერც იმას გაიგებს, როგორი წყვდიადი გამეფდება ჩემს გულში, როცა მიეფარება იგი ჩემის თვალიდან. ან რა საჭიროა გაიგოს ეს ყველაფერი?! ის ხომ ოცნებაა ჩემი გიჟური. მართალია, ხორცშესხმულია და არსებობს, აგერ თვალითა ვხედავ, მაგრამ მაინც ოცნებაა ის ჩემთვის მიუწთომელი, ციაგი რამ თვალთწარმტაცი შეუპყრობელი. შეუძლებელია ჩემი ბედნიერება!".

გათავდა ორი მოქმედება და შუქური წარჩინებულ საზოგადოებას არ მოჰშორებია. საუკეთესო ახალგაზრდობა ევლებოდა თავს, ფიანდაზად ეგებოდა, იმის სურვილთა მონად გამხდარიყო, მის სიტყვას ძირს არ უშვებდა, მის ნდომას მიწაზე ფეხს არ აკარებინებდა. მათში მეტადრე ირჩეოდა ეშხიანად მოყვანილი ახალგაზრდა სამხედრო ტანისამოსში უსურვაზის წნელივით იგრიხებოდა, თვალებში შესციცავებდა, შეჭმოდა, ქათინაურს უხშირებდა, სიტყვა ლამაზობას ცდილობდა, ფაქიზი ხელით ულვაშს იწვეტებდა. გული ეუბნებოდა ბესიკს, რომ ეს ვაჟი უმიზეზოდ არ ელერსებოდა ქალს. ალბათ ქალიც გრძნობდა ამას, რომ სწორედ ამ ყმაწვილს ეპყრობოდა მეტიდურად, შეხედვას უძვირებდა, მის საალერსოზე ღიმიც არ მოსდიოდა, რაღა იმედი უნდა ჰქონდეს საწყალ ბესიკს, როცა იმის გულს ასეთი ჯიქი კეკლუცი დაესახა სათავისოდ?! სიცილადაც არ ეყოფოდა მზეთუნახავს, რომ გაეგო, რა გრძნობებს შეუპყრია მისადმი ვიღაც დაბალ კაპრუას შვილი და რა ახირებული აზრები ტრიალებდა ამ ჟამად მის საწყალ თავში.

„სწორედ სასაცილოა ჩემი აზრები და შეუნდობელი ჩემი გრძნობები, მაგრამ რა ვქმნა, როდესაც ყმა ვარ ამ აზრებისა და მონა ყურმოჭრილი ამ გრძნობისა, როცა ამ გრძნობათა გარეშე ადამიანურის სიცოცხლის გზა აღარ მაქვს"?!

სცადა ახალგაზრდამ მოშორებოდა ამ მაცთურ სანახაობას, გული გაერთო და ან სცენისთვის მიეპყრო გულისყური, ან სხვა ვინმე დაენახა ამ ხალხით სავსე დარბაზში, მაგრამ ამაოდ: ყოველი საგანი შუქურისაკენ ანიშნებდა, ყოველი ხმა მისკენ მიხედვას ჩასჩურჩულებდა, ყოველივე მოძრაობა მისკენ მიჰმართამდა ტყვექმნილს. გაიზარდა სურვილი ბესიკის გულში, გაავსო იგი და გადმოდუღდა იგი სურვილი მის ძარღვებში ალად დამწველად ჩაფერფლა იმის ტვინში ყოველივე ცნება, ყოველივე წარმოდგენა, ყოველივე სახე, და დარჩა იქ მხოლოდ სახე შუქურისა სურვილთა ცეცხლით განხივოსნებული, უზენაეს ქმნილებად გადაფურჩქნილი, მიუწდომელი, სათაყვანებელი. და აწ ლოცულობდა მას ვაჟი, ევედრებოდა უსიტყვოთ, აქებდა ადიდებდა აღტაცებული და ამ აღტაცებაში ჰპოვებდა მწვავ ნეტარებას. ვეღარ ამჩნევდა გატაცებული ბესიკი დროთა მსვლელობას. გათავდა მოქმედება, აიშალა ხალხი.

— ბესიკი, ერთ წამს ფოიეში გავიდეთ: ახალგაზრდები არიან იქ და გეძახიან,—უთხრა ნაცნობმა.

ბესიკი შეუგნებლად დამორჩილდა და გაჰყვა. შევიდნენ მცირე რამ დარბაზში. ნაცნობმა შუქურს წარუდგინა.

— შუქური ბრძანდება, ბატონ თენგიზის ქალი! და მიუბრუნდა ქალს:

— ეს გახლავთ ბესიკი ნარგიზაშვილი, წელან რომ მოგახსენებდით.

*) იხ. „დროება" N 75.

ქე აბაშიძეებმა და სხვებმა. ვინ, რომელი გულშემატკივარი ქართველი გინდა ამ სამწუხარო ამბავმა არ ააკვნესა და არ აალაპარაკა. პირიდან გვართმევენ დედის ძუძუს და უწყალოდ გვტოვებენ. რომ იტყვიან ხოლმე, „შვინდის ჯოხით გვიკეტვენ კარებსო" სწორედ ასე გვემართება. ჩვენც ბევრი გვიცხეს, დანაშაულს გვდებდნენ—არა სცდილობთო, და გვალიძებდნენ, მაგრამ, შეუძლებლობას რომ თავი დავანებოთ, საუბედუროდ, საქმის ღირსეული გამძღოლი და მწარმოებელიც არავინ გვყვანდა, როგორც უკვე ვწერდი შემოდგომაზე გაზეთ „დროების" ერთ-ერთ ნომერში. მეც ჩემს თავს ვერა ვთვლიდი რაიმე გასაჭირ საქმის თავ-დატეხის დროს თავის გატანის ღირსეულ შემძლებლად, ჯერ ერთი როგორც უსწავლელი გლეხი კაცი და მერე მეტისმეტად დაწვრილშვილებული და ღარიბ პირობებში ჩავარდნილი. მაგრამ ჩვენს უბედურობაზე სხვის ტირილმა მე, ეს სულ უარარაო შეუძლო კაცი და ორი სხვა ჩემი ამხანაგი გვაიძულა ძალაუნებურად თავს გვედვა ეს მძიმე საქმე. რამდენიმე თანამგრძნობის შემწეობით მოვამზადინეთ სთხოვლი, მივმართეთ ტფილისში სამდგილ-მამულთ კომისიას და დავიწყე საქმე—გაჭრობა კომისიის შეაობით თავ. მაყაშვილის მამულზე. კომისიამ, სიმართლე რომ სთქვას კაცმა, მართლა დიდი დრო და მეცადინეობა დახარჯა იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყო საქმე, რომ ესე ერთბაშად ფასში აწეულ (ამ ორი წლის წინად ეს მამულები ფასობდა დესეტინა 50-60 მანეთი, ეხლა მოსულმა ხალხმა კი ასწია დესეტინა თორმეტ თუმნამდე) მამულის შეძენა შესძლებოდა ჩვენს გაძვალტყავებულ ხალხს; მაგრამ ბევრის თათბირისა და მსჯელობის შემდეგ გამოირკვა, რომ ვერ შევსძლებდით საგლეხო ბანკის სესხის ზევით, ჯიბიდან დასაფერე დამატებითი თანხის—300000 მანეთის გაღებას. მოცილეების ფეხ-მოსაკიდ „პოზიციებად" ჩემის მხრით შენიშნული მქონდა და კომისიისთვისაც მქონდა მოხსენებული კნ. მაყაშვილის მამული და აბაშიძისა. ჩემის და სხვათა რჩევით „იერიში" მივიტანეთ უკანასკნელზე და ის ჩამოვაშორეთ, რადგან სიმცირისა გამო (220 დესეტინაა აბაშიძისა, ხოლო მაყაშვილისა—500 დესეტინაა) ის უფრო ხელსაყრელი იყო ჩვენთვის და ამას გარდა კნ. მაყაშვილთან შედარებით თავ. აბაშიძემ დესეტინაში ერთი თუმანი დაგვიკლო, რაც ჩვენისთანა გაძვალტყავებულ ხალხისთვის დიდს თანხას შეადგენს, მივეცით აბაშიძეს კამისიის კაცის ხელით ნოტარიულ მიტკაცებით 2340 მანეთი, ჩამოვართვით „ზაპრადაჟნოი ზაპისი" და ვნუგეშობდით რომ ამ ადგილის აღება მეორის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო...

მაგრამ თან ოგვყვა თავ. ლევან აბელის ძე ანდრონიკაშვილი. მან არ ვიცი, ვისი მტრობით, ვისი ჯაბრით და რა ნიადაგზე ხალხში ხმა გაავრცელა, რომ ვითომ ჩვენ, რწმუნებულებს, გვეყიდნოს თავ. აბაშიძისაგან დესეტინა რვა თუმნად და არა თერთმეტ თუმნად, ვითომ ვატყუებდეთ ხალხს და დესეტინაში სამ თუმანს ჩვენ ვიღებდეთ. ამ ხმამა საქმეს სულ სხვა მიმართულება მისცა. ეს ხმა ხალხს ელვასავით მოედო, სრულიად დარწმუნდნენ ანდრონიკაშვილის ნათქვამში, აღარ უყურებდნენ „ზაპრადაჟნოი ზაპისს" და მოგვესივნენ, როგორც იცით სოფლის საქმე. ცოტას მორჩა, სასოფლოდ არ ჩაგვაქავეს და ჯვართ არ გაგვაკრეს. ეს კიდევ არაფერი. მეორე დღეს მე პირადად მემხვდა თითონ თავ. ლევან ანდრონიკაშვილი ქოდალის სასამართლოში და კანცელარიაში სახალხოდ, მწერლებთან, ჩემ გამწვავებულ კითხვაზე, თუ რად ჩაიდინა არა საკადრისი ცილის-წამება, რაც სოფლის ხალხმა მალე ფის ხოლმე დაჯერება, უფრო მკაცრად და გაცხარებულის კილოთი მიპასუხა: „მართალია, მართალი, ცილისწამება არ არისო. აბაშიძე დესეტინას რვა თუმნად იხვეწებოდა, გამიყიდეო, მეც ბევრჯერ მეხვეწებოდა, მაგრამ ვერა ვყიდდით რვა თუმნათ, და ეს თუ ეგ დასაჯერებელია, რომ თქვენ ეხლა თერთმეტი თუმანი მიეცით დესეტინაში. არა ეგ მე არა მჯერა, თქვენ რწმუნებულებმა დესეტინაში სამი თუმანი აიღეთ და ხალხს ატყუებთო. ესევე ანბავი ქოდალის სასამართლოში მესამედ უამბო რამდენსიმე კაჭრეთელ კაცს. ამან უარესად აღელვა და აამბოხრა ხალხი, ძლივსძლიობით შევაყენეთ საქმე. მოვიწვიეთ სასოფლო ყრილობაზე ჩვენი შუამავალი თავ. ჯაჩნაძე მან წაუკითხა ხალხს „ზაპრადაჟნოი ზაპისი", მაგრამ ამაოდ, სოფელმა არა შეისმინა-რა და თუმცა ჩვენ, რწმუნებულებს, სიცოცხლე გვაჩუქა, მაგრამ გამოგვიცხადა: ჩვენი ფული სადაც იყოს და არ იყოს მოთხარეთ და მოგვიტანეთო.

გაიარა რამდენიმე დღემ და ხელახლა მოიყარა თავი ხალხმა ადგილობრივ მებატონე თ-დ ია ანდრონიკაშვილთან. სთხოვდნენ გვიშველეთ რამე ან მაზრის უფროსთან ან ბოქაულთან და ეგ ფული წაგვირთვით, ნებით რო არ იძლევიანო. იქიდან გაემართნენ მართლა ბოქაულთან. აქ შემთხვევით დაესწრო სიღნაღის მაზრის მარშალი თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილი. მიგვიწვიეს ჩვენც, რწმუნებულები, გასინჯეს და აუხსნეს ხალხს „ზაპრადაჟნოი ზაპისი". არწმუნებდნენ ჩვენს სიმართლეს და უბრალოდ ცილისწამების ხმის გავრცელებას, მაგრამ აქაც ვერას გახდნენ, და ხალხი ისევ გაიძახოდა: ჩვენ ჩვენი ფული მოგვეცე, ჩვენ ეგ მამული არ გვინდა, და ამას იქით არც ვისმე და ვენდობით და აღარც ვისიმე მამულს ვიყიდითო...

აი, ასეთი ნაყოფი გამოიღო თავ. ლევან აბელის ძე ანდრონიკაშვილის მეცადინეობამ. ცილის წამებით ეს სამ-სამი კაცი მოგვკლა ისე, რომ სოფელში თავი ვეღარ გამოგვიყვია. მაგრამ ამას ვინა ჩივის: „თავათ არ იყო ძმარიო, ზედ დაასხიან წყალიო," ეხლა ესეთი საქმეც უნდა დაემართოს ჩვენ სოფელს. აბა ეხლა, ამ ამბის შემდეგ, მობძანდით, თავადო, და გააგებინეთ რამე გამოსყიდვაზე სოფელს. მაშინვე პასუხად გეტყვიან: ახლა შენ მოგინდა ჩვენი ფულის ჭამაო", თუმც სინიდისით ეხლა თქვენი ვალია მათი გადგიძება, იმიტომ რომ თქვენ დაიმსახურეთ ხალხის ნდობა ამ შემთხვევაში და ჩვენ კი დავკარგეთ—დაგვაკარგვინეთ. გზა-კვალი აუბნიეთ ხალხს ცარიელი სიტყვით, თავ. აბაშიძე რვა თუმნათ იხვეწებოდაო. რვა თუმანი კი არა, 1907 წელს ყველანიც იძლეოდნენ ხუთ თუმნებში დესეტინას, მაგრამ წინანდელი დრო და ეხლანდელი მამულის გაყიდვის საქმეში, თქვენც კარგა იცით, სულ სხვა და სხვაა.

მართლა რომ დაღუპვის გზაზე დავდექით. უაზრო ჭორის წყალობით გვეკარგება თავ. აბაშიძესთვის მიცემული ფული, 2340 მანეთი. მამული პირობისამებრ, აქედანვე ჩვენს სარგებლობაში უნდა გადმოსულიყო. აპრილის პირველიდან მამულს პატრონობა სჭირდება, და ხალხი კი აჩევებულ-ანიყებული ყურს არ უგდებს და კვლავ გაიძახის—არ გვინდა, არა, ჩვენი ფული მოგვიტანეთ...

კაჭრეთელი გლეხი **დიმ. ხოლოდაშვილი.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ივანე ტხორჟევსკის დაკრძალვა.** გუშინ დაკრძალეს პოეტის ივანე ტხორჟევსკის გვამი. ცხედარი წაასვენეს მისიონერთა ეკლესიაში, ხოლო იქიდან დასაკრძალავად კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. დაკრძალვას დაესწრნენ ნათესავ-მეგობრები და პატივის-მცემელნი.

✦ **შეკითხვა.** მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ რამდენიმე დღის წინად ყაჩაღები დაესხნენ ყიზლიარის ხაზინას. ამის გამო, დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ოქტომბრისტებს სახელმწიფო სათათბიროში შემდეგი შეკითხვა შეაქვთ: „რადგან კავკასიაში ცარცვა-გლეჯა არ ისპობა, ამიტომ ვეკითხებით პრემიერ-მინისტრს სტოლიპინს და კავკასიის ნამესტნიკს, რა ზომებს იღებენ, რომ კავკასიაში ცარცვა-გლეჯა მოისპოს და დაცულ იქმნან მშვიდობიანი მცხოვრებლები, სახაზინო და კერძო დაწესებულებანიო. შეკითხვის ავტორების აზრით კავკასიის ადმინისტრაცია სუსტად მოქმედებს, საჭირო ზომებს არ იღებს და ესაა მიზეზი, რომ სახაზინო დაწესებულებებს მუდამ ჟამს შიში მოელით.

✦ **საქართველოს ეკლესიის შესახებ.** გუშინდელ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია: „სატახტო ქალაქის და კავკასიის ზოგიერთ გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, ვითომ უწმ. სინოდს განეხილოს პეტიცია ქართველ სამღვდელოებისა, რომელიც შუამდგომლობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, და ვითომ სინოდს ამ საქმის გადაწყვეტა გადაედოს სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე. ნათქვამი იყო აგრეთვე, ვითომ სინოდი ექსარხოს შეეკითხებოდეს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობების გამო საქართველოს ექსარხოსი დეპეშით შეკითხა სინოდს, რომელმაც პასუხად აცნობა, რომ ეს ცნობები სიცრუვეა, რომ არავითარი ახალი თხოვნა და განკარგულება არა ყოფილა და არც ექსარხოსთან გაგზავნილა შეკითხვაო."

✦ **კიდევ ერისთავის მოკვლის შესახებ.** გუშინ ვწერდით, რომ თავ. გიგო ერისთავის მკვლელნი აფიცრის ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნიო. ეს ამბავი მართალი არა ყოფილა. ეხლა შემდეგ დაწვრილებით ამბავს გვატყობინებენ: „3 აპრილს სოფ. ფლავში მოჰკლეს თავადი გრიგოლ კონსტანტინის ძე ერისთავი. საქმე ასე მომხდარა: თავადი გრიგოლ ერისთავი ამ დღეს თავის ვენახში ყოფილა, სადაც დღიურ მუშებს ვაზს აყენინებდა. შუადღე გადასული ყოფილა. უეცრად ვენახის ღობის უკანიდან ერთი თოფი გავარდნილა, რითაც თავადი ფეხში დაჭრილა. ამას მეორე, მესამე და სხვა სროლა მოჰყოლია და ერისთავი იქვე უსულოდ დაცემულა. მკვლელები ექვსნი ყოფილან, შეიარაღებულნი სამ ხაზიან თოფებით, მაუზერებით, ხანჯლებით და აუარებელ პატრონებით. თავადი ერისთავის მოკვლის შემდეგ ყველანი იმის სახლში შევარდნილან, გაუტეხნიათ კარები, გამოუტანიათ თავადის ფორმის პალტო (განსვენებული ერისთავი გუსარის პოლკის აფიცერი იყო), მისივე ქუდი, ერთი ბერდანა, რევოლვერები, გამოუყვანიათ სამი მისი ცხენი და მიმალულან. თავ. ერისთავს დარჩა ცოლი და ხუთი მცირე-წლოვანი შვილი.

✦ **მაღაზიის გაქურდვა.** 5 აპრილს ღამე სიონის ქუჩაზე ქურდებს მეორე ვილდის ვაჭრების ალექსანდრე და ლევან ჯავახოვების მაღაზიდან გაუტანიათ 10,000 მანეთის საქონელი. ქურდებს, როგორც ეტყობა, მთელი ღამე უმუშავნიათ, რომ მაღაზია დაეცარიელებინათ. გაუჭრიათ მაღაზის კედელი და გაუტანიათ [illegible]. პოლიციის გამოძიებით, ქურდები ჯერ [illegible] ჯევის სახლის ეზოში შესულან. ჯავახოვების მაღაზიას ცავდა დარაჯი გალუსტ აბრამოვი და მეეზოვე თათეოს მათოსოვი. პოლიციას ამათზე შეეპარა ეჭვი, აგრეთვე არშაკუნზე, რომელსაც ქურქლეულობის საწყობი ჰქონია იქვე. პოლიციამ სამივე დააპატიმრა. გამოძიება სწარმოებს.

✦ **ცეცხლის გაჩენის შესახებ.** როგორც ამას წინად ვწერდით, სენაკში დაიწვა წ.-კ. საზ. სკოლის ერთი შენობა. ნათქვამი იყო, ცეცხლი რაღაც გამოურკვეველ მიზეზით გაჩნდაო. როგორც ეხლა გვატყობინებენ, მიზეზი ცხადი ყოფილა: ცეცხლი გაჩენილა ბუხრიდან, როდესაც იმ სახლში მდგომი სკოლის მებაღე ვახშამს იკეთებდა. ძველმა ბუხარმა ველარ გაუძლო და გასქდა თურმე.

✦ **მოწაფეების დათხოვნა.** დღეს საალდგომო დღესასწაულებისთვის დაითხოვეს ქართულ გიმნაზიის მოწაფეებს. გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს გადაწყვეტილებით გასათავებელ მოწმობის მისაღებ ეგზამენზე არ გაუშვეს მერვე კლასის 8 მოწაფე. ამავე საბჭოს დადგენილებით და მინისტრის ცირკულიარის თანახმად შემოღებულ იქმნა გამოსაცდელი ეგზამენები მე-5, მე-6 და მე-7 კლასში. მერვე კლასში გამოცდა დაიწყება 26 აპრილს.

✦ **ტყუილი ამბავი.** როგორც ქლექის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოების მდივნის წერილიდანა სჩანს (გუშინ დაიბეჭდა „ტ. ლ."-ში), ტყუილი გამოდგა რუსულ გაზეთების ცნობა, ვითომ ამ საზოგადოებისთვის ამერიკელ როკფელლერს 200 ათასი მანეთი აღეთქვას. მდივანი ზავრიევი სწერს, ჩვენი წერილი ჯერ არც კი ექნება მიღებული როკფელლერსაო.

---

ქალმა თითონ გაუწოდა ხელი შემკრთალ ბესიკს და გაუღიმა გასამხნევებლად. რა თბილი ხელი იყო პაწაწა!

სახალხო საქმე განვიზრახეთ და იმედი გვაქვს დაგვეხმარებით, ყმაწვილო!—უთხრა ქალმა.

— გვიბრძანეთ, ქალბატონო! მზადა ვარ თქვენ სამსახურად!

— შორიდან გიცნობთ, ყმაწვილო: გახსოვთ პატარაობისას მგოსნის დღესასწაულზე რომ ლექსები წავიკითხეთ ერთად?

— მახსოვს, ქალბატონო! განა შეიძლება იმისთანა ძვირფას წამის დავიწყება?!

ქალმაც და სხვებმაც განუმარტეს ყმაწვილკაცს, რომ მთელ ზაფხულს აპირობენ მდაბიო ხალხისთვის სკოლა და ლექციები მოაწყონ და დასჭირდებათ განათლებულ ახალგაზრდობის დახმარება. ბესიკი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. რას არ იზავდა, რა შრომას არ იტვირთებდა, როცა ამისთანა იშვიათი შემთხვევა ეძლეოდა ხშირად შეხვედროდა თავის შუქურს და დამტკბარიყო მისი ახლო ყოფნით?!

ბედნიერად დაუთავდა ბესიკს საღამო. აღტაცებული დაბრუნდა შინ. სიცილს ველარ იკავებდა ბნელ ქუჩაში რომ შევიდა, ბალღივით გადახტა, შეითამაშა. შინ მძინარეები კოცნით დაალვიძა. ვახშამზე შემოისხა. ათასი რამ უამბო სასაცილო თუ საგულისხმო, თავისი სიხარული და ბედნიერება სავსებით გადასცა თავისიანებს და მათ გულშიაც აღაგზნო სიხარულის ლამპარი, გააღვიძა და აღორძინა ტკბილი იმედები. ჰკოცნიდა ყველას, ეალერსებოდა, ეხუმრებოდა. მთელ ღამეს მხიარული ანგელოსი დაჰფარფატებდა საწყალ კოპრუას ოჯახს.

**16.**

ამ ბედნიერ საღამოს შემდეგ იღბალი უღიმოდა ბესიკს, ზედი ზედ უხდებოდა ნახვა თავის ბროლ-ფიქალისა. ზაფხული იყო, ნასწავლი ახალგაზრდობა ესტუმრა ქალაქს და შუქურმა მოახერხა მათგან საკმაო ძლიერ გუნდის შეკრება. ამ წრემ მიზნად დაისვა ემუშავა ზაფხულის განმავლობაში, ცოტა რამ სიკეთე მოეტანა ჩამორჩენილ მოძმეებისათვის. გამართეს და გააჩაღეს დროებითი სასწავლებელი, სადაც საღამოობით, დუქან-ბაზრის დაკეტის შემდეგ, წერა-კითხვას ასწავლიდნენ ახალგაზრდობას. კვირა-უქმით ეს სკოლა დილითვე სწარმოებდა და უფრო ფართო საზოგადოებას უყრიდა თავს. შიგა და შიგ ხალხს უკითხავდნენ საგულისხმიერო საგნებზედაც სამშობლო ისტორიიდან თუ გეოგრაფიიდან, ხალხის აწინდელ ცხოვრებიდან თუ უწინდელ მის ყოფიდან, მწიგნობრობიდან, მეცნიერებიდან. სცდილობდნენ ცხადად დაეხატნათ და დაესურათებინათ ნათქვამი, რომ უფრო სახალისო და ადვილად გასაგები შეექმნათ ის. ძალიან საინტერესო ცნობებს აწოდებდნენ ხალხს და ამისთანა გაკვეთილებმა სახელი გაითქვეს საზოგადოებაში.

მთელი ამ შრომის მომწყობი და სულის ჩამდგმელი იყო შუქური. მოძრავი, სუფთა, ზრდილობიანი, მოყვარული, გატაცებული უნებლიეთ იმორჩილებდა ყველას და სარისტას აძლევდა ყოველსავე. ეხლა მას ძლიერ გამოადგა თავისი გამოცდილება, რომელიც ბალღობიდანვე შეეძინა სოფლად, სადაც ის გარშემორტყმული იყო თავის ტოლ-სწორ გოგოებით. სოფლის გოგოებს მაშინაც ხომ მასწავლებლად მოევლინა შუქური და ხელმძღვანელად. ბალღობიდანვე შეეთვისა შუქური მდაბიო ხალხს, ეს გრძნობა შეინარჩუნა, თანდათან შეგნებული შეიქმნა მასში ეს გრძნობა და ფიქრთა დენა. ხალხის საკეთილდღეოდ აღძრულმა მოძრაობამაც უმნიშვნელოდ არ ჩაიარა იმისთვის: ჩააფიქრა, გაიტაცა და ნათლად დაუსახა ცხოვრების გეგმა. მისი მოქმედების აზრი იყო: მეტი შრომა ხალხის სასიკეთოდ, რომ აღორძინდეს ერი და კეთილგეყოს შენც, ძეს ერისას. და ეს მცნება ხომ ბესიკის მცნებაც იყო, დედა აზრი იმის მომავალ მოქმედებისა.

შუქური რომ სული იყო და გული ამ პატარა წრისა, ბესიკი შეუდარებელი აღმასრულებელი გამოდგა ყოველი დაწყებილებისა, მხნე, დაუღალავი, აზრიანი. რა ერთგულად ემზადებოდა ხოლმე, რომ თავი მოეწონებინა ყველასათვის, გაეხალისებინა ყველა, გაეტაცნა და დაენერგა მსმენელთა სულში გრძნობა კეთილი, აზრი მართალი და ქება დაემსახურებინა ბედის ვარსკვლავისაგან! ქალს თუ მოეწონებოდა ნათქვამი, გაუღიმებდა თავს დაუქნევდა, იქნება მადლობაც ეთქვა მომხიბლელი. ქალ-ყრმა შეეჩვია ერთმანეთს. შუქურმა დააფასა ნიჭიერი, მომზადებული, ხალისით სავსე კეთილშობილი ახალგაზდა, რომელმაც სულ მცირე ხანში დაიმსახურა ხალხის თანაგრძნობა. ხალხს კი სწორედ შეუყვარდა მისი მოყვარული, მისი წრიდან გამოსული ბესიკი. ხალხი კიდეც ამაყობდი ჭაბუკით, რადგან მისი ამხანაგი, მისი წოდების კაცი ეხლა არაფრით არ ჩამოუვარდებოდა არავის, კიდეც სჯობდა ყველას.

ახლო გაიცნო ბესიკმა ქალი და ნახა, რომ ნამდვილი შუქური არაფრით არ ჩამოუვარდებოდა იმ შუქურს, რომელიც იყო ნაყოფი მისის ოცნებისა; კიდეც სჭარბობდა მას, რადგან ბესიკი თავის დღეში ვერ იფიქრებდა, რომ დიდკაცურად გაზდილი შუქური უბირი ხალხის გულშემატკივარი იქნებოდა, პატივისმცემელი, მოყვარული, დაჩაგრულთა სამსახურად გამზადებული. მით უფრო ძვირფასი შეიქმნა ქალი მისთვის, მით უფრო სევდა უმძიმდებოდა ჭაბუკს, როცა წარმოიდგენდა, რომ ჩქარა მოვა წამი, დადგება დრო და იგი უნდა განშორდეს იმ ჰაერს, რომლითაც სუნთქავდა მისი სიყვარული. ამ წუთის მოლოდინი სულს უხუთავდა ჭაბუკს, სევდის ლახვრით უგმირავდა გულს და უმწარებდა სიცოცხლეს. ქალის შესახვედრად წამოსულს რომ პირი უცინოდა, ქალისაგან დაბრუნებულს სიცოცხლე ტანჯვად ეჩვენებოდა, ჰაერი მძიმედ, მოწამლულად. ახ, როგორ გრძელდებოდა ყოველი წამი და წუთი, როცა ჭაბუკი ვერა ჰხედავდა თავის სატრფოს!

ამ ხნის განმავლობაში შუქურმაც დაკვირვებით გაიცნო ბესიკი და შთაბეჭდილება როდი იყო ჭაბუკისთვის საზარალო. გააცნო ქალმა ბესიკი თავის სახლსაც. ქალის დედმამამ თუ ნათესავებმა ზრდილობიანად მიიღეს ვაჟი, მაგრამ თავის საზოგადოების ნამდვილ წევრად კი ვერ ჩათვალეს: ის ძალიან განსხვავდებოდა მათგან თავისი აზრებით, მისწრაფებებით, საუბრით თუ ქცევით. მთელ ოჯახში მარტო შუქურს შეეძლო მასთან დამეგობრება. ან თუ შემთხვევით მოჰყვებოდა მათ სახლში ვინმე განათლებული ხალხის წიაღიდან გამოსული. ამასა ჰხედავდა შუქური და როცა ბესიკი მათთან იყო, უფრო მეტს ყურადღებას აქცევდა ვაჟს, რომ განმარტოვებით არ ეგრძნო თავი და გულს არ შეჰკლებოდა. ეს სწყინდათ შუქურის მოტრფიალე დაფერილ ახალგაზდებს და მტრულად უყურებდნენ ჭაბუკს, სცდილობდნენ გაეკილნათ იგი. რა იცოდნენ დაუფიქრებლებმა, რომ სწორედ ამით აახლოვებდნენ ქალ-ყრმას და იძულებული ჰყოფდნენ შუქურს ბესიკისთვის მფარველობა გაეწია და დაახლოვებიყო მას. ძნელი კი არ იყო ქალისთვის ეს მფარველობა, რადგან ჭაბუკი შეხედულობით არავის ჩამოუვარდება, განვითარებით გაცილებითაა სჯობდა მათ და ენაც მახვილი აჩნდა, სამართებელივით მჭრელი.

— სად კოპრუა დაბალის შვილი, სად განათლება! დაკარწახებული ტყავებს უნდა ზელავდეს ეხლა ეგ. მერე რა მშვენიერი ახალგაზრდაა!

— არა, ყმაწვილო, ზრდილობიანიც რომ არის! როგორი მოკრძალებით უჭირავს თავი და თან ამაყად, თითქო კეთილშობილიაო.

ქალი ადევნებდა თვალს ახალგაზრდას, სწონავდა რა შთაბეჭდილებას ახდენდა იგი იმის დედმამაზე თუ ნაცნობებზე, აკვირდებოდა იმის ჰაზრებს, იმის მოძრაობას, მოქმედებას. ქალი ძალიან დაეფიქრებინა ჭაბუკის სიახლოვეს. გრძნობიერი და დაკვირვებული ქალი იყო შუქური და მალე შენიშნა, როგორი თაყვანისცემით შეჰყურებდა ჭაბუკი, როგორის მოწიწებით ეახლებოდა, როგორის მორჩილებით ასრულებდა ყოველსავე იმის სურვილს. ისიც შენიშნა ქალმა თავის სასიამოვნოდ, რომ ჭაბუკისთვის აღარ არსებობდნენ სხვა ქალები, ის სრულებით ველარა ხედავდა მათ; მათი მიმზიდველი ძალა დაუძლურებულიყო ვაჟისთვის, გაქარწყლებულიყო. არც ერთს წამს არ მიიხედავდა იგი მათკენ გულისთქმით. ზრდილობიანად ექცეოდა მათ, რაინდულად, მაგრამ მათმა ალერსმა ვერც ერთხელ ვერ გაათბო ვაჟის გული, მათთვის გაყინული და გაქვავებული გული. შუქურს კი აღტაცებით შეჰყურებდა ბესიკი, მეტადრე როცა ეგონა, არავინ მათვალიერებსო. ჰკრძალავდა ყმაწვილკაცი თავის გრძნობას, რამდენიც კი შეეძლო, ცხრა კლიტულში ინახავდა მას: ეშინოდა გრძნობათა დაჩენით არ ეწყენინებინა ქალისათვის, არ დაეღონებინა იგი. მაგრამ არ იმალებოდა სიყვარული ცხოველმყოფელი, მისი ნათელი სხივები გამოსჭვივოდნენ ყოველმხრიდან და ცხად ჰყოფდნენ დაფარულს. ქალი ჩააფიქრა ამ ამბავმა, ბევრჯელ გაუკრთო ძილი: ქალის გულიც უკვე გაეთბო სიყვარულის ცხოველსმყოფელ სხივებს და მიეზიდნა მისი გული ჭაბუკისაკენ, მაგრამ ჯერ ისევ რყევაში იყო შუქური, რადგან მხოლოდ შემთბარ გრძნობებს ჯერ სისხლი ვერ აედუღებინათ მისთვის.

„მშვენიერი ახალგაზრდა ბესიკი, განათლებული, სალი მიმართულებისა. ხასიათიც კარგი აქვს. რა მარჯვეა, რა მახვილია, რა ადვილად შრომობს! რაზედაც სხვას მთელი დღე უნდა, მას ერთ საათში ვერ ჰყოფნის. სწორედ შესძლებს ცხოვრებასთან ბრძოლას. როგორც შევეჩვიე... წამ და უწუმ იმაზე ვფიქრობ უნებლიეთ, —ამბობდა თავის გულში ჩაფიქრებული ქალი.—რას იტყვის მაიკო, როცა გაიგებს, ვისზე ვფიქრობ? ტუჩს აიკრავს, გამკილავს, არც დედ-მამას ესიამოვნება. მაგრამ იმათ ხომ ისიც არ მოსწონთ, რომ მდაბიო ხალხში გავდივარ და მათში ვტრიალებ. ეჰ, არც გასამტყუნარნი არიან: არ იცნობენ ხალხს და როგორ შეიყვარებენ?! ვერც ის შეუგნიათ, რომ ეხლა ცხოვრების ასპარეზზე ერი გამოდის მომქმედად, ერი მთლიანი; მის წიაღიდან უნდა იშვნენ ხალხის წინამძღვარნიც. უსაზღვრო ძალაა დაკრძალული ერის გულში: მხოლოდ ერს შეეძლო ამოდენა თავ-განწირული მოეცა ჩვენთვის, მხოლოდ მასვე შეუძლიან გაგვიზარდოს მხსნელნი ყოველგვარ სამარცხვინო მონობისაგან."—ჰფიქრობდა ქალი და მისი გული უღიმოდა ხალხის წიაღიდან გამოსულ ბესიკს.

იზრდებოდა და ძლიერდებოდა თან და თან გრძნობა ქალისა.

**შ. ზარნთვი.**

(დასასრული იქნება)

◆ **ექსკურსია.** გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ საექსკურსიოდ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფენი,

◆ **მარდან ბეკ თოფჩიბაშევი.** როგორც „ზაკავ.“-ს გაუგია, ბაქოელ ჟურნალისტებს და სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფს თოფჩიბაშევს სპარსეთის მთავრობა იწვევს იუსტიციის სამინისტროს მრჩეველად. ფიქრობენ სპარსეთში სამოსამართლო საქმეების რეფორმას და თოფჩიბაშევს ამ საქმისთვის იწვევენ.

◆ **მეფუტკრეობის საზოგადოება.** ტფილისში დაარსდა კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოება. ამას წინად მოხდა არჩევნები. თავმჯდომარედ აირჩიეს თავ. ლორთქიფანიძე, თავმ. ამხანაგად გორბაჩევი, მდივნად სოკოლოვი, ხაზინადრად დიუმა, საბჭოს წევრებად—გ. სუნდუკიანცი, ვ. ზეიდლიცი, ა. ბარხუდაროვი, სარევიზიო კომისიაში—კ. თულაშვილი, ს. საკოვი, ა. მხითარიანცი და ვ. ჰეჭინაძე.

◆ **„კავშირი-კაპეიკა“.** კვირას მოხდა ამ კავშირის კრება. სულ ერთი თვე იქნება, რაც კავშირი დაარსდა და გამგეობას უკვე 600 მანეთზე მეტი მოუკრებია. კრებამ დაადგინა, დაარსოს თავშესაფარი უპატრონო ბავშვთათვის. ამავე კრებაზე გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს ივანე ზურაბიშვილი.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნაძალადევში, ათანასიევის ქუჩაზე, მანგუას სახლში მოვაჭრე მეფურნემ ვალადიანცმა გამომცხვარი პური მიჰყიდა ნაძალადევის მცხოვრებს სოფიო ხაფთასისას. როგორც კი სახლში შიიტანა, ერთი პური გასტეხა და შიგ ნახა ვეებერთელა ტილი. ასეთი უსუფთაობა პირველი და უკანასკნელი არ არის ამ ფურნეში. ერთხელაც ხაფთასისას ამავე მეფურნემ პური მიჰყიდა და შიგ პურის გულში თაგვის განავალი აღმოჩნდა. რომ მიმართა პროტესტით მეფურნეს, მან უთხრა: თუ არ გნებავს, ნუ იყიდი ჩემგან პურსაო. პოლიციამ ოქმი შეუდგინა ვალადიანცს, მაგრამ იგი არასფერს დაჰკარგავს: რასაც ჯარიმაში გაიღებს, იმას ერთი ორად ნაძალადეველებისაგან აიღებს“.

◆ 6 აპრილს, ღამის $3^1/_2$ საათზე გრიბნის ქუჩაზე ტფ. მცხოვრების იოსებ გიორგის ძე მაჭავარიანის სახლში ცეცხლი გაჩნდა. თუმცა მქრობელი რაზმი მისულა, მაგრამ ზარალი მაინც 3000 მანეთს აღემატება თურმე. სახლი დაზღვეული ყოფილა 18,000 მ. პოლიციამ ეჭვი მიიტანა, რომ ეს სახლი განგებ უნდა დაეწვათ, ამიტომ დააპატიმრეს მეეზოვე ივანე გეორქოვი. გამოძიება სწარმოებს.

◆ დღეს 7 აპრილს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის კანტორაში დანიშნულია სხდომა ახალ კლუბის საბჭოსი რამდენიმე საქმის განსახილველად.

◆ 5 აპრილს ტფილისში შემდეგი ამბები მომხდარა: რაზიევი ქუჩაზე ქურდებს ალექსანდრე მეგრანოვის დუქნიდან, როგორც დუქნის პატრონმა განაცხადა, გაუტანიათ 700 მანეთის საქონელი. გამოძიებით ეს ქურდობა არ დამტკიცდა: დუქნის პატრონს მოუგონია ეს ამბავი. გამოძიება სწარმოებს. დააპატიმრეს სიმონ კაპანაძე, რომელსაც ი. ს. ყორღანოვისთვის პანაშვიდის გადახდის დროს კონსტანტინე სარჯლოვისთვის ვანქის ტაძრის ეზოში ოქროს საათი აუცლია. ამავე დღეს დააპატიმრეს ერვანდ არნაუტოვი, სერგო ხუტაშვილი და გრიქორ ზახარიანცი, რომელთაც რიყეზე ტერ აბრამოვის მაღაზიიდან მოუპარავთ 200 მანეთის საქონელი. ჩხრეკის დროს პოლიციის მე-2, 5, 8, 10 და XI ნაწილში დააპატიმრეს 111 უპასპორტო კაცი.

◆ პარსადანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკის გამგემ ივ. ავალოვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ ფაბრიკიდან ვილაცებმა მოიპარეს 6000 მანეთის საქონელიო. პოლიცია დარწმუნდა, რომ ეს ქურდობა ჩაედინა ფაბრიკის დარაჯს, ოსმალეთის ქვეშევრდომს აბრაჰამ ზუკოს, რომელიც დააპატიმრეს. მოპარულ საქონლის ერთი ნაწილი ნახეს თესიმონოვის მოედანზე, ხერო პეტროსიანის სახელოსნოში და ფაბრიკის მეორე დარაჯის ხეჩატურიანცის სახლში. საქონელი გადაეცა პატრონს. ხეჩატურიანცი, პეტროსიანცი და სარქისა გაბრიელიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა აგრეთვე ერთი ნაწილი მოპარულ საქონლისა, დააპატიმრეს.

## ქალაქის საბჭო

5 აპრილი.

ტფ. ქალაქის საბჭოს 5 აპრილს, ათი თვის ავადმყოფობის შემდეგ, პირველად თავმჯდომარეობდა ქალაქის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. თავ. ჩერქეზიშვილს მხურვალედ მიეგება საბჭო და სხდომაზე ბლომად შეკრებილი გარეშე ხალხი და თვითმმართველობის მოხელე-მოსამსახურენი. თავ. ჩერქეზიშვილმა კრების გახსნისას შემდეგი სიტყვით მიჰმართა საბჭოს: „ბ-ნო ხმოსნებო! მე დიდი ვალი მაწევს ქალაქისა. ათი თვის მძიმე ავადმყოფობამ გამტეხა არა თუ ფიზიკურად და მატერიალურად, არამედ ზნეობრივადაც ძალიან შემაწუხა, რადგან არ შემეძლო ჩემი მოვალეობა ქალაქის წინაშე ამესრულებინა. ჩემს ასეთს მდგომარეობას ქალაქის საბჭომ ყურადღება მიაქცია, გამიწია დიდი დახმარება და გამამხნევა ზნეობრივად. ყოველმავე ამან შეძლება მომცა გამომთელებულვიყავ და კვლავ შევსდგომოდი ქალაქზე ზრუნვასა და მუშაობას. დიდად გმადლობთ ასეთის დახმარებისათვის. გმადლობთ უფრო იმიტომ, რომ დამეხმარეთ და გამამხნევეთ არა როგორც კერძო კაცი, არამედ როგორც თქვენ მიერ არჩეულ ადამიანი. უღრმეს მადლობას მოვახსენებ აგრეთვე თქვენის სახით ქალაქის მცხოვრებთ და ყველა იმათ, ვინც მე მიგონებდა, მიკითხავდა და მით მახნევებდა. მადლობელი ვარ აგრეთვე ქალაქის გამგეობისა და ქალაქის თავის მოადგილის ბ-ნ ა. ი. ხატისოვისა, რომელიც ჩემს თანამდებობას ათი თვის განმავლობაში ბრწყინვალედ ასრულებდა. თქვენმა და მცხოვრებთა თანაგრძნობამ ძალა გამიორკეცა და ავადმყოფობის შემდეგ უფრო მხნედ შევუდგები მუშაობას“.

ამ სიტყვას ტაშის ცემით მიეგებნენ. ხმოსანთა დავალებით ხმ. ლუნკევიჩმა მისაგებები სიტყვით მიჰმართა თავ. ჩერქეზიშვილს და სიხარული გამოსთქვა ჯანმრთელობისა გამო.

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ა. ი. ხატისოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 10 თვის განმავლობაში არ მახსოვს არც ერთი კაცი, რომელსაც რაიმე საქმე ჰქონოდეს ქალაქის თვითმმართველობაში და არ ეკითხოს, თუ როგორ იყო ავადმყოფი ვ. ნ. ჩერქეზიშვილიო. ბ-ნი ხატისოვი მიეგება ქალაქის თავს ქალაქის გამგეობის წევრთა სახელით და მიულოცა კეთილად დაბრუნება.

შემდეგ ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა საბჭოს აცნობა გარდაცვალება ხმოსნად ნამყოფის ი. ს. ყორღანოვისა და სთხოვა საბჭოს, ფეხზე ადგომით პატივი ეცა იმის ხსოვნისათვის. საბჭომ, გამგეობისა მოხსენებისამებრ, დაადგინა, ყორღანოვის ცხედარი გვირგვინით შეამკოს და დაესწროს იმის გასვენებას.

თავმჯდომარემ მერე ბოდიში მოიხადა საბჭოს წინაშე, რომ სისუსტის გამო აღარ შეეძლო სხდომის გაგრძელება და თავმჯდომარეობა გადასცა ა. ი. ხატისოვს.

წინა სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ ხმ. ს. პ. ეირანოვი შეეკითხა თავმჯდომარეს: ამ დღეებში ტფ. საუნივერსიტეტო კომიტეტს სხდომა ჰქონდა და თუ გამგეობის წარმომადგენელი დაესწრო ამ სხდომას, შეგვატყობინეთ, რა მდგომარეობაშია საკითხი უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებაო.

თავმჯდ. ბ-ნ ხატისოვმა სთქვა, რაც კომიტეტმა დაადგინა, უკვე იყო გაზეთებში დაბეჭდილიო.

გამგეობის დადგენილების თანახმად, საბჭომ უარი გამოუცხადა ტფ. რეალურ სასწავლებლის გამგეობას მუქთად წყლის მიცემაზე და შემდეგ დაადგინა, 60 მანეთით დაეხმაროს ა. გროსიცკაიას, რომელმაც ავადმყოფობისა გამო ქალაქის გამგეობაში სამსახურს თავი დაანება. საბჭომ განიხილა აგრეთვე მოხსენება ქალაქის ლომბარდის მოხელეებისა სააღდგომოდ დასაჩუქრების შესახებ. საფინანსო კომისიას დაუდგენია მოხელე-მოსამსახურენი სამს ხარისხად გაჰყოს. ვინც დიდს ჯამაგირს იღებს, მას ერთი თვის ჯამაგირის ოდენა ფული მიეცეს, ვინც საშუალო ჯამაგირს თვე-ნახევრისა, ხოლო ვინც 600 მანეთამდე იღებს—ორი თვის ჯამაგირის ოდენა. საბჭომ კენჭის ყრით მიიღო საფინანსო კომისიის დადგენილება.

დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა ქალაქის კანტროლის შემოღების შესახებ მოხსენების განხილვას. როგორც უკვე ვწერდით, გამგეობის პროექტით უნდა გაიდოს 5600 მან. და დაარსდეს გამგეობის საკანტროლო განყოფილება.

ხმ. ჯაბადარი, ახნაზაროვი, ხუნუნცი და სხვები წინააღმდეგნი იყვნენ ასეთის კანტროლისა. ისეთ კანტროლს, როგორიც გამგეობის პროექტშია აღნიშნული, არავითარი მნიშვნელობა არ ექნებაო. მთელი გამგეობისა და ქალაქის სხვა დაწესებულებათა კანტროლი დავალებული აქვს საბჭოს სარევიზიო კომისიას, რომელთანაც სასურველია დაარსდეს განსაკუთრებული შტატი კანტროლიორებისა. თუ გამგეობა თავის საქმეებს თავს ვერართმევს, საჭიროა მეხუთე წევრი ავირჩიოთ გამგეობაშიო და სხვა. გამგეობისა და კომისიის წინადადების თანახმანი იყვნენ ხმ. ს. პ. ეირანოვი, ფიშერი, ვესელოვზოროვი და სხვანი.

კამათმა შუაღამემდე გასტანა. დასასრულ, საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო გამგეობის დადგენილება და დაადგინა, საკანტროლო განყოფილების დასაარსებლად გადასდოს 5600 მან.

## თეატრი და ხელოვნება

**სოხუმი.** ტფილისის დასი ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და კ. მესხის მეთაურობით სოხუმსაც სწვევია. ორ აპრილს წარმოუდგენიათ „ურიელ-აკოსტა“, სამ აპრილს—„ჰამლეტი“.

—

**ჭიათურა.** 9 აპრილს ვლ. ალექსი-მესხიშვილი ჭიათურაში მართავს თავის საბენეფისო წარმოდგენას. ითამაშებენ „შავ ბერს“ და „ნაპოლეონის სიკვდილს.

—

**იქიდანვე.** 3 და 4 აპრილს ადგილობრივ თეატრში ბ-ნმა ილია ბახტაძემ წაიკითხა ორი ლექცია: „ბატონ-ყმობა და დანიელ ჭონქაძე“ და „ჩაგრულთ პოეტი ვარლამ რუხაძე“. პირველ ლექციას ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ ბევრმა ლექცია ბოლომდის აღარ მოისმინა! ლექციის შინაარსი და გადმოცემა საინტერესო სათაურს არ შეეფერებოდა. პირველი ლექცია თითქმის სრულიად ქართულ ჟურნალ-გაზეთებიდან იყო ამოკრეფილი. ჩვენი პოეტებისა და პუბლიცისტების აზრს ამ საგნის შესახებ უკვე იცნობს პირველ წყაროებიდან აქაურ საზოგადოების უმრავლესობა, რომელიც ამ ლექციას დაესწრო, ამიტომ მისი განმეორებით მოსმენა ინტერეს მოკლებულიც იქნებოდა. მუშები ცოტანი იყვნენ ამ ლექციაზე ბილეთების სიძვირის გამო. ორიდან ათ შაურამდე გადახდა მუშებისთვის ძნელია, მით უმეტეს ეხლა, როცა აქ თითქმის უმუშევრობაა. ესეც არ იყოს, მუშები დაჩვეულნი არიან იაფფასიან ან სრულებით უფასო ლექცია-კითხვების მოსმენას, რომელთაც ადგილობრივ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა მართავს ხოლმე. მეორე ლექციისათვის ფასები დაუკლო ლექტორს (5—30 კ.), მაგრამ ხალხი მაინც ძლიერ ცოტა დაესწრო, სულ 30—40 კაცი თუ იქნებოდა: პირველმა ლექციამ ბევრს გაუტეხა გული.

როგორც გადმოგვცეს, ეს ლექციები ბ-ნ ბახტაძეს აქაურ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისათვის გამოუგზავნია ადრე გასაცნობად და უთხოვნია, გამგეობას თავის სახელზე აელო ნებართვა და მოეწვია თვით ბახტაძე წამკითხველად, მაგრამ გამგეობას ამ ლექციების წაკითხვა აქ ვერ უცვნია სასურველად და ბახტაძისათვისაც უარი შეუთვლია. საკვირველია სწორედ, თუ ეს ასე იყო, რატომ თვით ბახტაძემ არ გაანება თავი ამ ლექციების წაკითხვას. პირველ ლექციის შემდეგ ერთმა მსმენელთაგანმა საფუძვლიანი აზრი გამოსთქვა: „მაგ დალოცვილმა, ხომ დაინახა, რომ მისმა მეგობრებმა და კარგმა ნაცნობებმაც ვეღარ მოვისმინეთ ლექცია ბოლომდის და თეატრი დავტოვეთ, მეორე ლექციისათვის მაინც რაღად რჩებოდაო?“ ამაში თვით ლექტორიც დარწმუნდა მეორე ლექციის დროს, მაგრამ გვიანღა იყო.

**მონაპირე.**

## უცხოეთი

**ბრიანი სენტ-ეტიენში.**

საფრანგეთში უკვე დაიწყო საარჩევნო აგიტაცია. სენატისა და პალატის დათხოვნის უმალ საფრანგეთის პირველი მინისტრი ბრიანი დაუყოვნებლივ წავიდა თავის საარჩევნო ოლქში, სენტ-ეტიენში, სადაც იგი ეხლაც ჰდგავს თავის კანდიდატურას, დიდ საპროგრამო სიტყვის წარმოსათქმელად. პირველ დღეს იგი დაესწრო ადგილობრივ რესპუბლიკელთა ფედერაციის კონგრესის კრებას და პასუხი გასცა ორატორებს, რომლებიც მას სხვა და სხვა საქმეებზე შეეკითხნენ. კონგრესმა დაადგინა რეზოლიუცია, რომლითაც კმაყოფილება გამოსთქვა „მოქალაქე ბრიანის რიგიან განმარტებით“, და მის „რესპუბლიკურ და სოციალისტურ მხურვალე რწმენით დაიმედებული“, ხელახლად სრული ნდობა გამოუცხადა ბრიანს. ამ პირველმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მაგრამ მეორე დღეს, როდესაც ბრიანმა სიტყვა წარმოსთქვა ქალაქ სენ-შამანში (სენტ-ეტიენიდან 10 კილომეტრის მანძილზე), პირველ მინისტრის წინააღმდეგ გამართეს ის მტრული მანიფესტაციები, რომლის ამბავი უკვე მოგვიტანა დეპეშამ.

პირველი მანიფესტაცია წინადვე იყო დამზადებული; ქალაქის ქუჩებში აფიშები გაეკრათ და ხალხისთვის შეეტყობინებინათ, რომ პირველ მინისტრის წინააღმდეგ მანიფესტაცია გაიმართებაო. იმ დღეს, რა დღესაც ბრიანი სენ-შამონში მივიდა, 300 კაცი, ბრიანის მეტოქის ლორისის მეთაურობით შეიკრიბა იმ შენობის ახლო, სადაც ბანკეტი უნდა გამართულიყო. ერთი კაცი შენობაში შესვლას ცდილობდა, მაგრამ იგი დაიჭირეს. დატუსაღებული გამოდგა ისპანიელი; მას გატენილი რევოლვერი უპოვეს. პოლიცია ძლიერ ეცადა, რომ პირველ მინისტრის ავტომობილი თავისუფლად მისულიყო შენობის შესავალთან. როცა ბრიანი მოახლოვდა, ბრბომ დაიწყო ყვირილი: „მოღალატევ! გადამდგარო!“ როდესაც ბრიანმა ლაპარაკი დაიწყო, ბრბო უფრო აღელდა, ქვები დაუშინა ფანჯრებს და ისეთი ორიანცელი ასტეხა, რომ ორატორი იძულებული იყო სიტყვა შეეწყვიტა. სამაგიეროდ ბანკეტზე დამსწრეთ (1000. კაცმა) ამ დროს ოვაცია გაუმართეს ბრიანს. როცა ხმაურობა შესწყდა, ბრიანმა განაგრძო თავისი სიტყვა და თავდაპირველად მკაცრად დაჰგმო გიჟური აგიტაცია თავაშვებულ დემაგოგებისა, რომლებიც ცდილობენ მუშების მოხიბლვასო. ორატორმა მტკიცე იმედი გამოსთქვა; ეს აგიტაცია ამაოდ დარჩებაო. როცა იგი სიტყვას ათავებდა, მანიფესტანტებმა წინანდებურად მოიყარეს თავი შესავალთან, გაშალეს წითელი ბაირაღი და „ინტერნაციონალის“ მღერა დაიწყეს. პოლიციას და ბანკეტის მონაწილეთ ქვები ესროლეს; გაისროლეს რევოლვერებიც. რამდენიმე კაცი სუმბუქად დაიჭრა; პოლიციელი მძიმედ დასჭრეს თავში. სანამ მანიფესტანტები პოლიციას ებრძოდნენ, ბრიანმა შენობის შიგნით მოიცადა და მერე ავტომობილით სენტ-ეტიენში დაბრუნდა.

ბრიანს თავის სიტყვაში, სხვათა შორის, ეთქვა: აუცილებლად საჭიროა, რაც შეიძლება, ჩქარა განხორციელდეს საარჩევნო რეფორმა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ადმინისტრაციის რეფორმასთანაო. მაგრამ მომავალ პარლამენტის ყველაზე აუცილებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს საფინანსო რეფორმა, ესე იგი, შემოსავლის დაკვალად გადასახადის შემოღებაო („რ. ვ.“)

## წერილი რედ. მიმართ

**(თავ. ვასო აბაშიძის საპასუხოთ)**

უმორჩილესად გთხოვთ, დამიბეჭდოთ შემდეგი წერილი. ჟურნალ „ჭინკის“ მესამე ნომერში მოთავსებულია წერილი, რომლითაც ავტორი, ვასო აბაშიძე მე სასტიკ ბრალსა მდებს. მისი აზრით მე, „სამკითხველოს ზედამხედველი, თუმცა, ხშირად ვმართავ წარმოდგენებს და საღამოებს, მაგრამ შამოსულ ფულს ბარაქა არა აქვს, რადგან დათვლის დროს რაღაც „თილისმის“ ძალით ქრება და ბიბლიოთეკა-სამკითხველო ცარიელ-ტარიელი რჩება“. ეს კიდევ რა კმარა, თურმე წერილებსაც ვხსნი, რომ „უცენზურო“ არ გავუშვა და მით „შალომეს და ყობოს“ ზიანი არ მივაყენო. აც ეს მაკმარა ზრდილობიანმა ადამიანმა (კერძო ინტერესებს ბევრი შესძლები), წარმოიდგინეთ თურმე „ლექციებიც იითხება სიყვარულზე და ერთობაზი“, იუმცა ვინ კითხულობს წერილიდან ნთლად არასჩანს. როგორ მკითხველი ჰხდავს, ბრალდება დიდია, მაგრამ რამდენად საფუძვლიანი, ეს კი ყველამ არ იცის. დავიწყოთ პირველ ბრალდებიდან. „საღამოები და წარმოდგენები ხშირად იმართება სამკითხველოს სასარგებლოდ, შემოსავალი კი ჰქრებაო“. მტკნარი სიცრუეა ბატონებო. ეგ მხოლოდ ვასო აბაშიძეს შეეძლო ეთქვა, რადგან **სამკითხველოს სახელით მხოლოთ ერთი საღამო გაიმართა და ისიც** ჩვენი სოფლისთვის იმ უბედურ დღეს, როცა ორი თავადი და ოთხი გლეხი დააპატიმრეს (მოძრაობის დროს ბრალდებას სდებდნენ). გუბერნატორისაგან ნება დართულ საღამოს გადადება სხვა და სხვა შესაწყნარებელ მიზეზით შეუძლებელი შეიქმნა და გასაკვირველიც არა, თუ დიდი არაფერი დარჩა, თუმცა ასი თუმანი რომ დარჩენილიყო და მეკადრებინა კიდეც ჩემს მიერ ფულის გალაფუჩება, შეუძლებელი იყო, რადგან ბილეთები გამყიდველი და ფულის ამღები სხვები გახლდნენ აღნიშნულ საღამოს ვარდა, ვრლამ დავითისძე ძიძიგურმა თავის გამგეობით და მსახიობ გრ. ჩარკვიანის რეჟისორობით წარმოდგენა გამართა. წმინდა შემოსავალი 21 მან. 89 კაპ. სამკითხველოს გადასცა რომლის ანგარიშიც სამკ. ხაზინადარმა წარადგინა, სადაც საჭირო იყო. ყველა ეს გაზეთ „დროებაში“ იყო გამოქვეყნებული. ორი სიტყვა: ვასო აბაშძის სიტყვით ბიბლიოთეკა სულს ღაფავს. დავამშვიდებთ „გულშემატკივარ“ ადამიანს და ვეტყვით: ბარე ორი მოასწრობს სულის ღალაფვას და სამკითხველო კიდევ კარგ ნიადაგზე იქნება. რაც შეეხება წერილების ხსნას და სიყვარულ-ერთობაზე ლექციების კითხვას, ეს როგორც დამტკიცებას, ისე თავის მართლებას მოითოვს: ვიწვევ თავ. ვასო აბაშიძეს სამედიატორო სამართალში, ვნიშნავ ჩემის მხრივ მედიატორეებად თავ. გიორგი ვახტანგის-ძე მიქელაძეს და ყარ. ტარ. ჩხეიძეს, ამასთან წინადადებას ვაძლევ თავ. აბაშიძეს, ღიდან ამის გამოცხადებისა ორი კვირის განმავლობაში დანიშნოს თავის მხრივ მედიატორეები და ვნახოთ, თუ ვისკენაა სიმართლე და რა სარჩული აქვს იმის მიერ ჩემსკენ მომართულ ბრალდებას.

**კნ. პელაგია მიქელაძისა.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში და მით საშუალება მოგვცეთ, რომ საზოგადოებას ვაუწყოთ შემდეგი: სოფლის ალის გლეხობამ (ზემო ქართლში), ზედი-ზედ მოუსავლობის მიზეზით, დაადგინა ყრილობაზე: მოსპოს სამუდამოდ დღეობა „კვირაცხოვლობა“, რომელიც მოდის აღდგომის სწორზე, და არ მოიწვიოს ამ დღეს ნათესავნი. ვინც ამას არ აასრულებს, დაისჯება ოც-და-ხუთი მანეთით ამავე სოფლის სასარგებლოთ. ვთხოვთ ნათესავ-ნაცნობთ, ამ დღეს ნუ გვეწვევიან სტუმრად.

ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ.

ხალხის მონდობილებით ალის სამრევლოს მღვ. **ისიდორე მაჭარაშვილი.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს, დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (6—79)

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აპეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** $9^1/_2$—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## ქუთაისში

◀ **კიღმარაშვილის და ამხ.** ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—21)

**პეტერბურგში აპრილიდან გამოვა ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი**

## „ЗАЩИТА ЧЕЛОВѢКА“

(ადამიანის დაცვა)

**მონაწილეობას მიიღებს ლ. ნ. ტოლსტოი**

პირველ ნომერში მოთავსებული იქნება **კირიონ ეპისკოპოსის სურათი და სტატია ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის შესახებ.**

ფასი წლიურად 1 მან. 50 კაპ., ცალკე თვით 80 კაპ. ხელის მოწერა მიიღება— Петербургъ, Бронницкая, N 13. Журналъ „Защита Человѣка.“

(5—5) რედაქტორი **მ. ბოლქვაძე.**

## თევზის სავაჭრო
## ზ. ზ. დავიდოვისა

(ყოფილი ქამოევისა)

რომელიც მოთავსებულია თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის ბაღის პირდაპირ, ამით აცხადებს პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ, რომ 7-დან ვიდრე 12 აპრილამდე გაიყიდება

## ● ფვრილი ქართული ზურგიელი ●

**გირვანქა ერთ აბაზად**

მაღაზიაში არის გასასყიდად ზურგიელები თითო ცალი ოთხი გირვანქა და მეტი. (4—227—1)

## მთავარი მოგებანი:

◀ **75,000, 40,000, 20,000, 15,000, 10,000 და სხვა** ▶

მთავრობის ფულის ლატარია, რომელიც ხუთ-კლასად არის გაყოფილი და მოხდება ვარშავის სახელმწიფო ბანკში.

**ლატარიის გამგეობა პირდაპირ** კერძო პირებზე ბილეთებს არა ჰყიდის, ბილეთებს ჰყიდიან რწმუნებული კოლექტორები. ფოსტის ხარჯი და სატირაჟო ცხრილების დაგზავნა საბანკირო სახლის ხარჯით.

მოგება იძლევა დაუყოვნებლივ ბილეთის წარდგენის დღეს.

**ტირაჟი მოგებათა:**

4 კლ. 26 და 27 აპრილს 1910 წ.

5 კლ. 29 მაისიდან 10 ივნისამდე.

**ფასები მე-4 კლასში მონაწილეობისთვის:** (მეხუთე კლასის მოგებაში მონაწილეობის მიუღებლად)

ა) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოკლებით: მთელი ბილეთი 8 მანეთი, $^1/_2$ ბილეთი 4 მანეთი, მეოთხედი ბილეთი 2 მანეთი.

ბ) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოუკლებლივ: მთელი ბილეთი 12 მანეთი. $^1/_2$ ბილეთი 6 მანეთი, $^1/_4$ ბილეთი 3 მან. $^1/_{10}$ ნაწილი ათ მთელ ბილეთში 12 მან. — „ $^1/_{20}$ „ „ „ . . . . 6 მან. — „

**პაები 3, 4 და 5 კლასზე:**

$^1/_5$ ნაწილი ბილ. 18 მან. — კ.

$^1/_{10}$ „ „ 10 მან. — „

$^1/_{20}$ „ „ 4 მან. 50 „

შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ნახევარი მეკვ. დროს, ნახევ. აპრილში.

**Л. В. ЛАНДАУ и К°.**

საბანკირო სახლი Варшава, Братская 18.

ადრესი დეპეშებისთვის: „Варшава Ландаубанкъ“

(Д. и Э. Мєтцль и К°. N 25,824). 4—Б.—2)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.